

საქართველოს ორგანული კანონი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 08.12.2009, მუხ. 300) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. არავის არა აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში ან მიუთითოს, თუ როგორი გადაწყვეტილება მიიღოს კონკრეტულ საქმეზე.“

2. მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის 3¹ პუნქტი: „3¹ ღია სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება ქვეყნდება საერთო სასამართლოების ვებ გვერდზე. სამართალწარმოების მონაწილეს, ან სასამართლო გადაწყვეტილებაში მოხსენიებულ სხვა პირს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაფარვა.“

3. მე-14 მუხლს დაემატოს მე-3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება 28 მოსამართლით.

5. მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ამოღებულ იქნეს

6. მე-18 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უზენაესი სასამართლოს პლენუმი შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, პალატების თავმჯდომარეებისა და უზენაესი სასამართლოს წევრებისაგან.“;

ბ) მე-2 პუნქტის:

ბ.ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

Comment [T1]: სასამართლოს საქმიანობის გამჭვირვალობის და სასამართლოს გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მიზანშეწონილად მივიჩნევთ სასამართლო გადაწყვეტილებების სრულად გამოქვეყნებას ვებ გვერდზე. სამართალწარმოების ნებისმიერი მონაწილეს უნდა მიეცეს უფლება მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაფარვა.

Comment [T2]: მხარს ვუჭერთ იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტის იმ ვერსიას, რომლითაც უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რიცხვი განისაზღვრა 28 მოსამართლით. შესაბამისად, აღნიშნული უნდა იქნას გათვალისწინებული მე-14 მუხლის მე-3 პუნქტში.

Comment [A3]: ამოღებულ უნდა იქნას უზენაესი სასამართლოს პლენუმის უფლებამოსილება განსაზღვროს მოსამართლეთა რაოდენობა (იხ. მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი)

Comment [A4]: JILEP-ის რეკომენდაციის გათვალისწინებით მხარს ვუჭერთ თავმჯდომარის მოადგილის ინსტიტუტის გაუქმებას (იხ. Disentangling Governance and Adjudicating Functions – Key JILEP Recommendations). ჩვენი აზრით აღნიშნული ინსტიტუტი უნდა გაუქმდეს არა მხოლოდ უზენაეს, არამედ ყველა დონის სასამართლოში.

„ბ) პლენუმის წევრის წარდგინებით აირჩიოს უზენაესი სასამართლოს პალატების შემადგენლობები და მათი თავმჯდომარეები;“;

ბ.ბ) „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

გ. მე-18 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი

„7. უზენაესი სასამართლოს პლენუმის სხდომები საჯაროა“

გ. მე-19 მუხლის:

ა) პირველი და მეორე პუნქტები ამოღებული იქნეს

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატას 3 წევრის შემადგენლობით, 3 წლის ვადით ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი. სადისციპლინო პალატის წევრთა კანდიდატურებს (მათ შორის, პალატის თავმჯდომარის კანდიდატურას) უზენაესი სასამართლოს წევრთაგან პლენუმს ასარჩევად წარუდგენს პლენუმის ნებისმიერი წევრი.“

ბ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ უზენაესი სასამართლოს პლენუმმა ზედიზედ ორჯერ ვერ აირჩია უზენაესი სასამართლოს პლენუმის წევრის მიერ წარდგენილი სადისციპლინო პალატის წევრის კანდიდატურა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს, მის არჩევამდე, არა უმეტეს 6 თვის ვადით, უზენაესი სასამართლოს წევრთაგან დანიშნოს სადისციპლინო პალატის წევრის მოვალეობის შემსრულებელი.“

9. 19¹ მუხლის

პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) „1. უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა ამ კანონის 35⁴, 36⁶ და 36⁶ მუხლებით დადგენილი წესით განიხილავს საჩივრებს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლით ან უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებზე.“

ბ) მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკვალიფიკაციო პალატას 3 წევრის შემადგენლობით ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი. საკვალიფიკაციო პალატის წევრი არ შეიძლება იყოს უზენაესი სასამართლოს ის მოსამართლე, რომელიც იმავდროულად არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.“

Comment [n5]: ამოღებულია სიტყვები „ბ“) აირჩიოს საკვალიფიკაციო პალატის შემადგენლობა და თავმჯდომარე“ ვინაიდან აღნიშნული ქვეპუნქტი უკვე მოცული „ბ“ ქვეპუნქტით.

Formatted: Font: 11 pt

Comment [A6]: მიზანშეწონილად მივიჩნევთ პლენუმის სხდომების საჯაროობა დადგინდეს კანონით

Formatted: Font: 11 pt

Comment [n7]: მე-19 მუხლის პირველ პუნქტში საუბარია სადისციპლინო პალატის წევრების და თავმჯდომარის არჩევის წესზე და ვადაზე, რომელიც დარეგულირდება საერთო წესით (იხ. მე-18 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი)

მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას გაათავისუფლოს სადისციპლინო პალატის წევრი

Formatted: Font: 11 pt

Comment [n8]: ამოღებულია საკვალიფიკაციო პალატის არჩევის 2 წლიანი ვადა, ვინაიდან მე-20 მუხლის პირველ პუნქტში შემოთავაზებულია ყველა პალატის არჩევა 3 წლიანი ვადით.

10. მე-20 მუხლის

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უზენაესი სასამართლოს პალატებს ჰყავთ თავმჯდომარეები. პალატის თავმჯდომარეს (~~გარდა სადისციპლინო და საკვალიფიკაციო პალატების თავმჯდომარეებისა~~) ამ პალატის შემადგენლობიდან ~~5-3~~ წლის ვადით ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი. ~~სადისციპლინო პალატის თავმჯდომარეს ამ პალატის შემადგენლობიდან 3 წლის ვადით ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი ამ კანონის მე-19 მუხლით დადგენილი წესით. საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარეს 2 წლის ვადით ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი ამ კანონის 19-ე მუხლით დადგენილი წესით.~~ უზენაესი სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე პალატის თავმჯდომარის (გარდა სადისციპლინო და საკვალიფიკაციო პალატების თავმჯდომარეებისა) უფლებამოსილება შეიძლება განახორციელოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ.“

Comment [T9]: მიზანშეწონილად მივიჩნევთ უზენაესი სასამართლოს პალატის თავმჯდომარეთა (გარდა საკვალიფიკაციო პალატისა) უფლებამოსილების ვადის განსაზღვრას სამი წლით.

ბ) მე-20 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ამოღებული იქნეს

Comment [A10]: აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის და მოადგილის ინსტიტუტის გაუქმებას (იხ. ზემოთ მუხ. 18)

11. 21-ე მუხლის

ა) პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) ახორციელებს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს;“.

ბ) 21-ე მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დროებით არყოფნისას მის უფლებამოსილებას მისივე ბრძანებით ახორციელებს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარე. თავმჯდომარის ბრძანების არარსებობისას მის მოვალეობას ასრულებს პალატის ის თავმჯდომარე, რომელსაც მოსამართლედ მუშაობის უფრო მეტი გამოცდილება აქვს.“

Comment [A11]: პირველი მოადგილე შეცვლილია პალატის თავმჯდომარით, რომელსაც მოსამართლედ მუშაობის მეტი გამოცდილება აქვს

12. 23-ე მუხლის:

ა). მე-4-მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, ~~საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის წინადადების საფუძველზე~~ სასამართლოს თავმჯდომარემ ამ კანონის 58¹ მუხლით დადგენილი წესით შერჩეულ მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის განხილვაში მონაწილეობა ამავე სასამართლოს სხვა პალატაში ან საგამოძიებო კოლეგიაში. აღნიშნულის შესახებ სასამართლოს თავმჯდომარემ უნდა აცნობოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს

Comment [A12]: ვფიქრობთ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ყოველ კონკრეტულ საქმეზე საქმის განმხილველი მოსამართლის შერჩევა გამოიწვევს საქმისწარმოების შეფერხებას. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი სასამართლოს თავმჯდომარემ უნდა გადაწყვიტოს საქმეთა განაწილების ზოგადი პრინციპების და წესის დაცვით.

5. სააპელაციო სასამართლოს თითოეულ პალატას და საგამომიებო კოლეგიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც შესაბამისი პალატისა და კოლეგიის შემადგენლობიდან 35 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. სააპელაციო სასამართლოს პალატის/საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარედ არ შეიძლება დაინიშნოს თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლე. გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.

Comment [A13]: ვფიქრობთ, რომ 5 წლიანი სამოსამართლო გამოცდილების შემთხვევაში 3 წლით გამწესებულ მოსამართლეს უნდა მიეცეს პალატის/კოლეგიის თავმჯდომარეობის უფლება

6. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს ~~და თავმჯდომარის მოადგილეს~~ მოსამართლეებისგან, მათ შორის, სასამართლოს პალატებისა და საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარეებისგან 35 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით ირჩევენ ამავე სასამართლოს მოსამართლეები. ერთი და იგივე პირი სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ ~~თავმჯდომარის მოადგილედ~~ არ შეიძლება აირჩეს აირჩეს ზედიზედ ორჯერ. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ ~~და თავმჯდომარის მოადგილედ~~ არ შეიძლება აირჩეს თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლე. კანდიდატის დასახელების უფლება აქვს სააპელაციო სასამართლოს ნებისმიერ მოსამართლეს. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც დააგროვებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობას, მაგრამ არანაკლებ სააპელაციო სასამართლოს სრული შემადგენლობის 1/3-ისა. თუ კენჭისყრის შედეგად ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო ვერც ერთმა კანდიდატმა, იმ ორ კანდიდატს, რომლებმაც სხვებთან შედარებით მეტი ხმა მიიღეს, ხელახლა ეყრება კენჭი. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეორე კანდიდატზე მეტ ხმას მიიღებს.

Comment [T14]: მიზანშეწონილად მიგვაჩნია თავმჯდომარის არჩევა 5 წლის ნაცვლად 3 წლით.

Formatted: Font: 11 pt

7. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, ~~თავმჯდომარის მოადგილის,~~ სასამართლოს პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ~~და თავმჯდომარის მოადგილის~~ არჩევამდე, სასამართლოს პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ~~(თავმჯდომარის მოადგილის,~~ სასამართლოს პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარის) უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება დაეკისროს ამავე სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს არა უმეტეს 3 ~~არა~~ თვის ვადით. ამ ვადაში შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ სასამართლოს თავმჯდომარის ~~და თავმჯდომარის მოადგილის~~ არჩევა, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ - სასამართლოს პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნა, რის შემდეგაც ამ პუნქტის შესაბამისად დროებით დანიშნულ პირებს უწყდებათ უფლებამოსილება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია სასამართლოს თავმჯდომარის ~~და თავმჯდომარის მოადგილის~~ არჩევამდე, სასამართლოს პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნამდე შეუწყვიტოს მოსამართლეს მისთვის დაკისრებული სასამართლოს თავმჯდომარის ~~და თავმჯდომარის მოადგილის~~ სასამართლოს პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილება დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში.“;

Comment [T15]: ვფიქრობთ რომ ეს ვადა უნდა გაიზარდოს 3 თვემდე

Formatted: Font: 11 pt

ბ) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8-მე-10 პუნქტები:

„8. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, ~~თავმჯდომარის — მოადგილის,~~ სასამართლოს პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტა;

გ) დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების სახით სასამართლოს თავმჯდომარის, ~~თავმჯდომარის მოადგილის/~~ სასამართლოს პალატის/საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლება;

დ) სასამართლოს თავმჯდომარის, ~~თავმჯდომარის — მოადგილის/~~ სასამართლოს პალატის/საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლა.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, გარდა „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, ~~თავმჯდომარის — მოადგილის,~~ სასამართლოს პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა ფორმდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

10. ამ მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, ~~თავმჯდომარის — მოადგილე,~~ სასამართლოს პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარე თანამდებობიდან თავისუფლდება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“.

13. 25-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ა“ – „ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მონაწილეობს საქმეთა განხილვაში;

ბ) ზედამხედველობს სასამართლოს აპარატის მუშაობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასამართლოს მენეჯერს, სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსს, სასამართლოს მანდატურს, მოსამართლის თანაშემწესა და სასამართლო სხდომის მდივანს, სასამართლოს მენეჯერსა და სასამართლოს აპარატის სხვა მოსამსახურეებს შეუფარდებს დისციპლინურ სახდელებს;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განზოგადებას და განზოგადების მასალებს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;

დ) ახორციელებს ამ კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას

Formatted: Font: 11 pt, Not Highlight

Formatted: Font: 11 pt

~~დ) საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ამ კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ წინადადებას;~~

ე) ორგანიზებას უწევს სასამართლოს მუშაობას, შეისწავლის და განაზოგადებს საქმეთა ნაკადის მართვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მათ შორის, საქმეთა შემოსვლისა და დასრულების მაჩვენებლებს, საქმისწარმოების ვადებს, სხდომების გადადების, საქმისწარმოების შეფერხების მიზეზებს და ამ ინფორმაციას აწვდის მოსამართლეებსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს; კომპეტენციის ფარგლებში იღებს ზომებს საქმისწარმოების შეფერხების სისტემური მიზეზების აღმოსაფხვრელად;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის დროებით არყოფნისას, თავმჯდომარის მოვალეობას მისი ბრძანებით ასრულებს სასამართლოს ერთ-ერთი პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარე. თავმჯდომარის ბრძანების არარსებობისას მის მოვალეობას ასრულებს შესაბამისად პალატის ის თავმჯდომარე, რომელსაც მოსამართლედ მუშაობის უფრო მეტი გამოცდილება აქვს.“

გ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე იმავდროულად შეიძლება იყოს არის სასამართლოს ერთ-ერთი პალატის/საგამომიებო კოლეგიის წევრი ან თავმჯდომარე.“

14. 26-ე მუხლი ამოღებული იქნეს

15. 30-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სასამართლო კოლეგიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც კოლეგიის შემადგენლობიდან 35 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარედ არ შეიძლება დაინიშნოს თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლე. გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.“

5. აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, სასამართლოს თავმჯდომარის წინადადების საფუძველზე, სასამართლოს თავმჯდომარემ ამ კანონის 58-ე მუხლით დადგენილი წესით შერჩეულ მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის განხილვა ამავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში (სასამართლო კოლეგიაში), ასევე მაგისტრატის მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება, ხოლო მაგისტრატის მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის განხილვა მისი სამოქმედო ტერიტორიის გარეთ, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.“

16. 32-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

Comment [A16]: პირველი მოადგილე შეცვლილია პალატის თავმჯდომარით, რომელსაც მოსამართლედ მუშაობის მეტი გამოცდილება აქვს

Comment [T17]: ვინაიდან სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობა არის არჩევითი, ხოლო პალატის/კოლეგიის თავმჯდომარეს ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სიტყვა „არის“ იცვლება სიტყვებით „შეიძლება იყოს“

Comment [A18]: გულისხმობს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის გაუქმებას

Comment [T19]: მიზანშეწონილია კოლეგიის თავმჯდომარის არჩევის შესაძლებლობა მიეცეს ასევე გამოსადეგი ვადით დანიშნულ მოსამართლეს, რომელსაც აქვს 5 წლიანი სამოსამართლო გამოცდილება

Comment [A20]: ვფიქრობთ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კონკრეტული საქმის განმხილველი მოსამართლის შერჩევა გამოიწვევს საქმისწარმოების შეფერხებას. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი სასამართლოს თავმჯდომარემ უნდა გადაწყვიტოს საქმეთა განაწილების ზოგადი პრინციპების და წესის დაცვით.

„მუხლი 32. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს, ამ სასამართლოს მოსამართლეთაგან, ხოლო იმ სასამართლოში სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, მათ შორის, კოლეგიების თავმჯდომარეთაგან, 3 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით ირჩევენ ამავე სასამართლოს მოსამართლეები. ერთი და იგივე პირი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარედ არ შეიძლება **აირჩეს** ზედიზედ ორჯერ. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარედ არ შეიძლება აირჩეს თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლე გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. კანდიდატის დასახელების უფლება აქვს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ნებისმიერ მოსამართლეს. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც დააგროვებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობას, მაგრამ არანაკლებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სრული შემადგენლობის 1/3-ისა. თუ ხმათა საჭირო რაოდენობა კენჭისყრის შედეგად ვერ მიიღო ვერც ერთმა კანდიდატმა, იმ ორ კანდიდატს, რომლებმაც სხვებთან შედარებით მეტი ხმა მიიღეს, ხელახლა ეყრება კენჭი. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეორე კანდიდატზე მეტ ხმას მიიღებს. თუ ხმათა თანაბარი გაყოფის ან სხვა მიზეზის გამო რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა ვერ მოხერხდა, მას ამავე სასამართლოს მოსამართლეებისგან ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

~~2. იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც 5-ზე ნაკლები მოსამართლე, სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ნებისმიერ მოსამართლეს. წარდგენილ კანდიდატურათაგან სასამართლოს თავმჯდომარე შეირჩევა წილისყრით.~~ 2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე:

ა) ~~პირადად~~ განიხილავს საქმეებს;

ბ) ზედამხედველობს სასამართლოს აპარატის მუშაობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასამართლოს მენეჯერს, სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსს, სასამართლოს მანდატურს, მოსამართლის თანაშემწესა და სასამართლო სხდომის მდივანს. სასამართლოს მენეჯერსა და სასამართლოს აპარატის სხვა მოსამსახურეებს შეუფარდებს დისციპლინურ სახდელებს;

გ) ორგანიზებას უწევს სასამართლოს მუშაობას, შეისწავლის და განაზოგადებს საქმეთა ნაკადის მართვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მათ შორის, საქმეთა შემოსვლისა და დასრულების მაჩვენებლებს, საქმისწარმოების ვადებს, სხდომების გადადების, საქმისწარმოების შეფერხების მიზეზებს და ამ ინფორმაციას აწვდის მოსამართლეებსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს; კომპეტენციის ფარგლებში იღებს ზომებს საქმისწარმოების შეფერხების სისტემური მიზეზების აღმოსაფხვრელად;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განზოგადებას და განზოგადების მასალებს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;

Comment [A21]: დაუსაბუთებლად მიგვაჩნია სასამართლოს თავმჯდომარის წილისყრით შერჩევა. ასეთი წესით დანიშნული თავმჯდომარე ვერ აკმაყოფილებს ვერც საჭირო უნარ-ჩვევების, ვერც წარმომადგენლობითობის კრიტერიუმებს. შესაბამისად უშუალოდ აქვს მოხდეს გამწესება არჩევის წესით. თუ სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა ვერ მოხერხდა ხმათა გაყოფის ან სხვა მიზეზის გამო, მას დანიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

Formatted: Font: 11 pt

გ) ახორციელებს ამ კანონის 30-ე მუხლის მუხლით მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ამ კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ წინადადებას;

ვ) უზრუნველყოფს სასამართლოში წესრიგის დაცვას, უფლებამოსილია სასამართლო სხდომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაადგინოს სხდომის დაწყებამდე პროცესის მონაწილეებისა და დამსწრე პირების შემოწმება და სასამართლოს შენობაში ან სხდომის დარბაზში ცალკეული საგნის შეტანის აკრძალვა; ასევე უფლებამოსილია, დარბაზის ფართობიდან გამომდინარე, შეზღუდოს სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირთა რაოდენობა;

ზ) სასამართლოში წესრიგის დარღვევის, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის ან სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში უფლებამოსილია, წესრიგის დამრღვევის მიმართ გამოიყენოს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებანი. სასამართლოს თავმჯდომარის მიერ აღნიშნულ საკითხზე განკარგულების მიღებისა და მისი გასაჩივრების წესი განისაზღვრება საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით;

თ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოვალეობებს.

3. იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, სასამართლოს თავმჯდომარე იმავდროულად შეიძლება იყოს სასამართლოს ერთ-ერთი კოლეგიის წევრი ან თავმჯდომარე.

4. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის, ხოლო იმ სასამართლოში, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, – სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის არჩევამდე/სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს (სასამართლო კოლეგიის) თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება დაეკისროს ამავე სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს არა უმეტეს სამი წლის ვადით, ამ ვადაში შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ – სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნა, რის შემდეგაც ამ პუნქტის შესაბამისად დანიშნულ პირებს უწყდებათ უფლებამოსილება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია სასამართლოს თავმჯდომარის არჩევამდე/სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნამდე შეუწყვიტოს მოსამართლეს მისთვის დაკისრებული სასამართლოს თავმჯდომარის/სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილება დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში.

5. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის/სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტა;

გ) დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების სახით სასამართლოს თავმჯდომარის/სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლება;

დ) სასამართლოს თავმჯდომარის/სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლა.

6. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, გარდა „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის/სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა ფორმდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს თავმჯდომარე ან სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე თანამდებობიდან თავისუფლდება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“

17. 34-ე მუხლის

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მოსამართლედ არ შეიძლება დაინიშნოს (აირჩეს) ნასამართლევ პირი, აგრეთვე პირი, რომელიც გათავისუფლებული იყო მოსამართლის თანამდებობიდან ამ კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღარ არსებობს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმა, რომლის საფუძველზედაც პირი გათავისუფლდა მოსამართლის თანამდებობიდან, ან იმავე მუხლის იმავე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით.“

ბ) 34-ე მუხლს დამატოს მე-5 პრიმა პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „34-ე მუხლის მე-5 პუნქტში გათვალისწინებული უნაღვე არ ვრცელდება იმ მოსამართლეზე, რომელიც გათავისუფლდა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და აღარ არსებობს ის ნორმა, რომლის საფუძველზეც პირი გათავისუფლდა მოსამართლის თანამდებობიდან.“

18. 35-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 35. მოსამართლის თანამდებობის დაკავების წესი

1. რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლის თანამდებობაზე ვაკანსიის არსებობისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქართველოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს მეშვეობით აცხადებს კონკურსს.

2. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის 34-ე მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ეს პირები მოსამართლეობის კანდიდატებად ჩაითვებიან საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში განცხადების წარდგენის შემდეგ.

3. კონკურსის გამოცხადებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო განსაზღვრავს მოსამართლეობის კანდიდატების რეგისტრაციისათვის განცხადების

წარდგენის ვადას, რომელიც არ უნდა იყოს 15 კალენდარულ დღეზე ნაკლები. კონკურსი ტარდება მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ.

4. მოსამართლეობის კანდიდატის მიერ კონკურსში მონაწილეობის მიზნით წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს პირის თანხმობას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ამ კანონის 35² მუხლით დადგენილი წესით ინფორმაციის, მათ შორის, პერსონალური მონაცემების გადამოწმების/მოძიების თაობაზე.

5. კონკურსში მონაწილეობის მსურველი უფლებამოსილია განცხადება შეიტანოს ერთ ან რამდენიმე მისთვის სასურველ ვაკანსიაზე და თითოეულ ვაკანტურ პოზიციას მიანიჭოს შესაბამისი პრიორიტეტი. კანდიდატის მიერ ვაკანტური პოზიციისთვის პრიორიტეტის მინიჭება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ ავალდებულებს კენჭი კანდიდატს თავდაპირველად სწორედ ამ ადგილას უყაროს კენჭი კანდიდატს.

6. მოსამართლეობის კანდიდატმა განცხადების წარდგენიდან 7 დღის ვადაში საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უნდა წარადგინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ცნობა საჯარო სამსახურის ბიუროში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის თაობაზე.

7. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო განიხილავს კონკურსში მონაწილე მოსამართლეობის კანდიდატთა განცხადებებსა და თანდართულ დოკუმენტებს. კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ამ დოკუმენტების შესაბამისობის შემთხვევაში მოსამართლეობის კანდიდატები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოში გაივლიან გასაუბრებას. გასაუბრებამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე ქვეყნდება მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მოსამართლეობის იმ კანდიდატთა შესახებ, რომლებიც გაივლიან გასაუბრებას.

~~8. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეობის კანდიდატებს შეარჩევს ამ კანონის 35² მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად.~~

89. იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში შეყვანილი პირის მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება მისი რიგითი ნომერი იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება.

910. კონკურსი უნდა წარიმართოს ობიექტურობისა და თანასწორობის პრინციპების სრული დაცვით. კონკურსის მიმდინარეობისას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მოსამართლეობის კანდიდატთა თანასწორობა განურჩევლად რასის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, საზოგადოებაში მათი მდგომარეობის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა და სხვა გარემოებებისა.

10. მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების ან გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მოსამართლეობის კანდიდატს გადაეცემა გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მე-5 სამუშაო დღისა.

11. თუ კონკურსის საფუძველზე ვერ შეირჩა მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი (კანდიდატები), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან 3 თვის ვადაში აცხადებს ახალ კონკურსს ამ მუხლით დადგენილი წესით.

Comment [A22]: სასურველია 10 დღიანი ვადა გაიზარდოს 15 დღემდე (იხ. აგრეთვე JILEP-ის რეკომენდაცია)
Formatted: Font: 11 pt

Comment [A23]: იხ. ასევე ევა გოცირიძის შენიშვნა

12. კონკურსის ჩატარების პირობებს, ასევე მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას გამოსაყენებელი რეკომენდაციის სტანდარტულ ფორმასა და სპეციალურ კითხვარს გადაწყვეტილებით ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.“.

19. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 35¹-35⁴ მუხლები:

„მუხლი 35¹. მოსამართლეობის კანდიდატა შერჩევის კრიტერიუმები და მათი მახასიათებლები

1. მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევა ხორციელდება ორი ძირითადი კრიტერიუმის - კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის საფუძველზე.

2. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:

- ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
- ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
- გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
- დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

3. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:

- ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
- ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
- გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
- დ) პროფესიული თვისებები;
- ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
- ვ) პროფესიული აქტივობა.

4. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის – როგორც მოქალაქის – პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

5. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე, შეუვალობა, და სხვა.

6. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

7. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი

იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და სხვა.

8. სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შესაფასებლად საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უფლება აქვს გამოითხოვოს კანდიდატის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება.

9. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

10. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

11. პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

12. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

13. პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

მუხლი 35². მოსამართლეობის კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის მოძიება

1. მოსამართლეობის კანდიდატთა განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ, ამ კანონის 36⁴ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, მოსამართლეობის კანდიდატთა ობიექტური და სრულფასოვანი შეფასების მიზნით, გასაუბრების ჩატარებამდე, იწყებს ამ მუხლით დადგენილი წესით მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ სანდო ინფორმაციის მოძიებას.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული ინფორმაციის მოძიების პროცესში სიღრმისეულად შეისწავლის კანდიდატების პროფესიულ რეპუტაციასა და საქმიანობას, ამოწმებს მათ მიერ წარდგენილი ინფორმაციის

სიზუსტეს, ასევე კანდიდატის მიმართ წარსულში არსებულ სისხლისსამართლებრივი/დისციპლინური დევნის ან/და ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ინფორმაციას.

3. მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია გამოიყენება მხოლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ კანდიდატის შეფასების მიზნით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილია შეფასების პროცესში გაითვალისწინოს მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია.

4. ინფორმაციის მოძიების შედეგად კანდიდატის შესახებ მიღებული მონაცემები კონფიდენციალურია და მათი რაიმე ფორმით გამჟღავნება დაუშვებელია.

5. მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მოძიებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილია დაუკავშირდეს კანდიდატის რეკომენდატორებს, ყოფილ დამსაქმებლებსა და კოლეგებს, სასწავლებლის ადმინისტრაციას და პედაგოგებს, ასევე იმ უწყებებს, სადაც შესაძლოა ინახებოდეს ინფორმაცია კანდიდატის ნასამართლეობის, ადმინისტრაციული და დისციპლინური დარღვევის და დავების შესახებ. ინფორმაციის მიღების მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული ვალდებულია შესაბამის პირს წარუდგინოს კანდიდატის წერილობითი თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობის თაობაზე.

6. ინფორმაციის მოძიების მიზნით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული იყენებს რეკომენდაციის სტანდარტულ ფორმას და სპეციალურ კითხვარს. გამონაკლისის სახით, უფლებამოსილმა სტრუქტურულმა ერთეულმა შესაძლოა დამატებითი შეკითხვებით მიმართოს ინფორმაციის მიმწოდებელს ან/და ინფორმაციის მისაღებად გამოიყენოს ზეპირი კომუნიკაციის ფორმა, რაც უნდა აისახოს წერილობით და დადასტურდეს ინფორმაციის მიმწოდებლის ხელმოწერით.

7. ინფორმაციის მოძიების მიზნით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ან/და კომუნიკაცია უნდა აისახოს ერთიან შემაჯამებელ ოქმში.

8. მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ ამ მუხლით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებული ინფორმაცია შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება.

9. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოძიების პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 30 სამუშაო დღისა ინფორმაციის მოძიების შედეგებს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს.

10. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია გასაუბრებამდე სულ მცირე 5 სამუშაო დღით ადრე უზრუნველყოს მოსამართლეობის კანდიდატისათვის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოში მის შესახებ არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. კანდიდატს ასევე უფლება აქვს გასაუბრების შემდეგ ნებისმიერ დროს გაეცნოს აღნიშნულ ინფორმაციას. ინფორმაციის წყარო კონფიდენციალურია. კანდიდატი აღნიშნულ ინფორმაციას ეცნობა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საამისოდ გამოყოფილ ადგილას.

11. მოსამართლეების კანდიდატი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-10 პუნქტით დადგენილი წესით მის შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, წერილობით მიმართოს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, წარადგინოს დამატებითი ინფორმაცია და/ან სათანადო წესით გააბათილოს მის შესახებ მოპოვებული მონაცემები.

12. კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია დალუქული სახით ინახება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სამისოდ გამოყოფილ დაცულ ადგილას არანაკლებ 3 წლის მანძილზე.

13. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრი ვალდებულია მისთვის ინფორმაციის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში სრულყოფილად შეისწავლოს კანდიდატის შესახებ არსებული ინფორმაცია და დოკუმენტები. ამ პროცესის დასრულების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეობის კანდიდატებთან ნიშნავს გასაუბრებას.

მუხლი 35³. ინტერესთა შეუთავსებლობა

1. კონკურსის მიმდინარეობისას მოსამართლეობის კანდიდატი უფლებამოსილია დასაბუთებული შუამდგომლობით მოითხოვოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის აცილება, თუ სახეზეა ინტერესთა შეუთავსებლობა, კერძოდ, გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის ამ წევრის ობიექტურობას, დამოუკიდებლობას ან/და მიუკერძოებლობას.

2. ინტერესთა შეუთავსებლობის არსებობის შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია წინასწარ განაცხადოს ამის შესახებ და არ მიიღოს მონაწილეობა შესაბამისი კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის აცილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხმათა უმრავლესობით. კენჭისყრაში არ მონაწილეობს პირი, რომლის აცილების საკითხიც განიხილება.

მუხლი 35⁴. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. მოსამართლეობის კანდიდატს უფლება აქვს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში, თუ მიაჩნია, რომ:

ა) კონკურსის მიმდინარეობისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (წევრები) მიკერძოებული იყო (იყვნენ);

ბ) კონკურსის მიმდინარეობისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის (წევრების) მიდგომა დისკრიმინაციული იყო;

გ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა (წევრებმა) ან აპარატის მონხელემ გადაამეტა_ (გადაამეტეს) მისთვის (მათთვის) საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას, რის შედეგადაც დაირღვა მოსამართლეობის კანდიდატის უფლებები ან საფრთხე შეექმნა სასამართლოს დამოუკიდებლობას;

Comment [T24]: კანონის მიხედვით ინფორმაციის მოძიებას ახორციელებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული და არა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის მხრიდან უფლებამოსილების გადაჭარბება ნაკლებად შესაძლებელია.

დ) ინფორმაცია, რომელიც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილებას, არსებითად მცდარია, რის დამადასტურებლადაც მოსამართლეობის კანდიდატმა შესაბამისი მტკიცებულებები წარადგინა;

ე) კონკურსი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დარღვევით განხორციელდა, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საბოლოო შედეგზე.

2. საჩივარი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მოსამართლეობის კანდიდატისათვის გადაცემიდან 2 კვირის ვადაში შეიტანება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რომელიც მიღებულ საჩივარს თანდართულ მასალებთან ერთად 3 დღის ვადაში გადასცემს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას.

3. საქმის განხილვის შედეგად საკვალიფიკაციო პალატა იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ;

ბ) მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

4. საკვალიფიკაციო პალატის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული საფუძვლის დადგენა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ, საკვალიფიკაციო პალატის აზრით, შესაბამისმა დარღვევამ გავლენა მოახდინა საბოლოო შედეგზე და გამოიწვია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არსებითად არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

5. უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილების გათვალისწინებით ხელახლა განიხილავს კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების ან გამწესებაზე უარის თქმის შესახებ.

6. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საკითხის ხელახლა განხილვის შედეგად მიიღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების თაობაზე და კონკურსის შედეგად მოსამართლის თანამდებობა კვლავ ვაკანტურია, პირი მოსამართლედ გამწესდება აღნიშნულ ვაკანტურ თანამდებობაზე.

7. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საკითხის ხელახლა განხილვის შედეგად მიიღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების თაობაზე და კონკურსის შედეგად შესაბამის თანამდებობაზე უკვე გამწესებულია სხვა მოსამართლე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს მოსამართლეობის კანდიდატის **იმავე ან სხვა სასამართლოში დანიშვნა** ~~საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს~~ ~~შემთხვევაში, ამ კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო~~ ~~გაზრდის შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობას.~~

Formatted: Font: 11 pt, Highlight

Comment [T25]: ეს ნოვაცია შეკითხვას ბადებს: როგორ უნდა მოხდეს მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდა იმ სასამართლოში სადაც ამის საჭიროება არ არსებობს? შესაბამისად, ალბათ კანდიდატი უნდა დაინიშნოს მისი სურვილისამებრ სხვა სასამართლოში, სადაც ვაკანსია არსებობს. შესაბამისად უნდა ჩაიწეროს „იმავე ან სხვა სასამართლოში“

8. მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განმეორებითი გადაწყვეტილება საჩივრდება ამ მუხლით დადგენილი წესით.

9. თუ კონკურსის შედეგად მოსამართლის თანამდებობა კვლავ ვაკანტურია, მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში მის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდება უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შემდეგ, ხოლო უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემთხვევაში – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ განმეორებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

10. მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაზე საჩივრის წარდგენის, უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენება ამ კანონის 36^ა და 36^ბ მუხლები, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“.

20. 36-ე მუხლის

ა) მე-4^ა პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4^ა. თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლის საქმიანობის შეფასების მიზნით, თანამდებობაზე მისი გამწესებიდან 1 წლის თავზე და 2 წლის თავზე, აგრეთვე მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის 3-წლიანი ვადის გასვლამდე 4 თვით ადრე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო წილისყრით შეარჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ მოსამართლე წევრს და ერთ არამოსამართლე წევრს (შემდგომ – შემფასებლები), რომლებმაც 2 თვის ვადაში, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა შეაფასონ მოსამართლის საქმიანობა შესაბამის პერიოდში. წილისყრის დასრულების შემდეგ შემფასებლების ვინაობა დაუყოვნებლივ ეცნობება შესაფასებელ მოსამართლეს. აღნიშნული ექვსი შეფასება სხვადასხვა შემფასებელმა უნდა განახორციელოს. შეფასების ყოველი პერიოდის ანგარიშებს შესაფასებელი მოსამართლე ეცნობა ამ კანონის 36^ა მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. ეს ანგარიშები მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის 3-წლიანი ვადის გასვლამდე 3 თვით ადრე, 2 თვის განმავლობაში შესასწავლად გადაეცემათ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს.

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. თუ მოსამართლის მონაწილეობით დაწყებული საქმის განხილვის დამთავრებამდე მან მიაღწია ამ კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ასაკს ან გავიდა მისი თანამდებობაზე ყოფნის ვადა, მოსამართლის

Comment [n26]: ამ მუხლში ერთიანი ვადა უნდა შეიცვალოს 2 თვით

უფლებამოსილება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელდეს აღნიშნულ საქმეზე ამ მოსამართლის ან იმ სასამართლო კოლეგიის ან პალატის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, რომლის შემადგენლობაშიც ის არის. იმ ვადის განმავლობაში, რომლითაც მოსამართლეს გაუგრძელდა უფლებამოსილება, ის არ შეიძლება დაინიშნოს (აირჩეს) სასამართლოს თავმჯდომარედ, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარედ ან რომელიმე ასეთი თანამდებობის პირის მოვალეობის შემსრულებლად. თუ პირი, რომელსაც გაუგრძელდა მოსამართლის უფლებამოსილება, ამ კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ასაკის მიღწევის ან თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლის დროისათვის სასამართლოს თავმჯდომარე, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე ან რომელიმე ასეთი თანამდებობის პირის მოვალეობის შემსრულებელია, მას, აღნიშნული ასაკის მიღწევის ან თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლის უფლებამოსილების გაგრძელების მიუხედავად, უწყდება შესაბამისად სასამართლოს თავმჯდომარის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის ან რომელიმე ასეთი თანამდებობის პირის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილება.

Comment [A27]: ამოღებულია თავმჯდომარის მოადგილე

~~36-ე მუხლის მე-5 პუნქტიდან ამოღებული იქნეს სიტყვები: “სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე”, ასევე “სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის”~~

21485. 36¹ მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

Formatted: Font: 11 pt

„5. მოსამართლის შეფასების პროცედურის სრულყოფილად წარმართვის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში იქმნება შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომლის თანამშრომლებიც ტექნიკურ დახმარებას უწევენ შემფასებელს და ასრულებენ მის ცალკეულ დავალებებს კონკრეტული კრიტერიუმით მოსამართლის შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციის მოსაძიებლად. აღნიშნული სტრუქტურული ერთეული აგრეთვე ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.“.

22. 37-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 37. მოსამართლის სხვა სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე დანიშვნის წესი

1. ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევაში შესაძლებელია თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლე, მისივე თანხმობით, კონკურსის გარეშე დაინიშნოს შესაბამისი ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ. თუ მოსამართლე უვადოდ არ არის დანიშნული, იგი კონკურსის გარეშე შესაბამისი ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ დაინიშნება თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში.

2. მოსამართლე კონკურსის გარეშე ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში დაინიშნება, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის 41-ე მუხლის მოთხოვნებს.“.

23. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 37¹ მუხლი:

„მუხლი 37¹. უფლებამოსილების სხვა სასამართლისათვის დაკისრების/მივლინების წესი

1. რაიონულ (საქალაქო)/სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის არყოფნისას ან განსახილველ საქმეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდის შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების წინადადებით მიმართავს ამ კანონის 44-ე მუხლის შესაბამისად რეზერვში ჩარიცხულ მოსამართლეს/მოსამართლეებს. რეზერვში მყოფ მოსამართლეთაგან წერილობითი უარის შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აღნიშნული წინადადებით მიმართავს პირველ რიგში იმავე ინსტანციის ტერიტორიულად ახლომდებარე სასამართლოების მოსამართლეებს. როგორც რეზერვში ჩარიცხული, ისე მოქმედი მოსამართლეები საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წინადადებაზე თანხმობის/უარის შესახებ ინფორმაციას აწვდიან წინადადების მიღებიდან 7 დღის ვადაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების მიზნით, მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინება შეიძლება განხორციელდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით, მოსამართლის თანხმობით, 1 წლამდე ვადით. მივლინების ვადის გაგრძელება შესაძლებელია არა უმეტეს 1 წლით, რისთვისაც აუცილებელია მოსამართლის თანხმობა. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების აღმოფხვრისას მივლინება შეწყდება დადგენილ ვადაზე ადრე.

3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით ვერ შეირჩა მოსამართლე, აუცილებლობის შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მოსამართლის თანხმობის გარეშე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება სასამართლოში პირველად რიგში იმ მოსამართლის მივლინების თაობაზე, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ტერიტორიულად ახლომდებარე სასამართლოში. დაუშვებელია თანხმობის გარეშე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მივლინება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაში აისახება ის კონკრეტული გარემოებები, რომლებიც ადასტურებს მართლმსაჯულების ინტერესის არსებობას. ის მოსამართლე, რომელიც მივლინებულ უნდა იქნეს სხვა სასამართლოში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოვლინდება წილისყრის საფუძველზე. წილისყრის შედეგად გამოვლენილ მოსამართლეს უნდა მიეცეს მივლინების თაობაზე დასაბუთებული მოსაზრების ზეპირად ან/და წერილობით წარდგენის შესაძლებლობა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო განიხილავს მივლინების თაობაზე მოსამართლის მოსაზრებას და, თუ მიიჩნევს, რომ არსებობს ისეთი გარემოებები, რომელთა გამოც მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინება მიზანშეუწონელია, ატარებს ხელახალ წილისყრას ამ პუნქტით დადგენილი წესით.

4. ერთი და იგივე მოსამართლის მივლინება მისი თანხმობის გარეშე შეიძლება განხორციელდეს 10 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ. მოსამართლის მივლინება მისი თანხმობის გარეშე შესაძლებელია 1 წლამდე ვადით, მივლინების საფუძვლების აღმოფხვრისას მივლინება შეწყდება დადგენილ ვადაზე ადრე.

5. რეზერვში მყოფი მოსამართლეები მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებენ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების აღმოფხვრამდე.

Comment [A28]: იხ. აგრეთვე ევა გოცირიძის შენიშვნები

6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას შესაბამის სასამართლოში ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახორციელებს ამ მუხლით გათვალისწინებულ ქმედებებს და იმავდროულად გონივრულ ვადაში მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად აცხადებს კონკურსს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

24. 41-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე შეიძლება დაინიშნოს სააპელაციო სასამართლოში, თუ იგი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა 5 წელი მაინც. მოსამართლის დაწინაურების კრიტერიუმებს შეიმუშავებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.“;

ბ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

25. 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

26. 47-ე მუხლის

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმოადგენენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული 8 წევრი, მათ შორის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ საერთო სასამართლოს მოსამართლე. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული წევრი არ შეიძლება იყოს თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლე, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო ან საკვალიფიკაციო პალატის წევრი ან რომელიმე სასამართლოს თავმჯდომარე. ~~ასეთი წევრი ასევე არ შეიძლება იყოს სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ან მოადგილე; გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს თანამდებობა მას თანამდებობრივად უკავია კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარეობის გამო. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ წევრთაგან სამზე მეტი არ შეიძლება იყოს კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.~~“.

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

5. საქართველოს პარლამენტი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 5 წევრს სრული შემადგენლობის უმრავლესობით, პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით ირჩევს კონკურსის საფუძველზე. ფარული კენჭისყრით. საბჭოს წევრობის კანდიდატები შეირჩევიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე პროფესორებისა და მკვლევარებისაგან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისაგან ან/და საქართველოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ

Comment [A29]: მიზანშეწონილია დადგინდეს, რომ პარლამენტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხუთივე წევრს ირჩევს სრული შემადგენლობის უმრავლესობით

წარდგენილი პირებისაგან, შესაბამისი ორგანიზაციის კოლეგიური ხელმძღვანელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე. ზემოაღნიშნული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის ერთ-ერთი სფერო კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში უნდა იყოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში. თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაცია უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს საბჭოს წევრის არაუმეტეს 3 კანდიდატურისა. საქართველოს პარლამენტის წევრის, მოსამართლისა და პროკურორის საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენა არ შეიძლება. საბჭოს წევრთა კანდიდატურების წარდგენის, ამ პუნქტითა და ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის, მათი განხილვისა და პარლამენტის პლენარული სხდომისთვის წარდგენის წესი და ვადა განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით.

გ. მე-7- მე-11 პუნქტები ამოღებული იქნეს

27. 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს თანამდებობიდან ათავისუფლებს, შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია ან საქართველოს პრეზიდენტი. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ზ“ ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობისას საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტი ან საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია ასეთი გარემოების არსებობის შესახებ ინფორმაციას იღებს ცნობად, გადაწყვეტილების მიღების გარეშე. ამ მუხლის პირველი პუნქტის „თ“-„ლ“ ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობისას საქართველოს პარლამენტი ან საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია კენჭს უყრის გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, ხოლო საქართველოს პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე. საქართველოს პარლამენტი აღნიშნულ გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით.“.

28. 49-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი

„4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, საბჭოს შემადგენლობის ცვლილებასა და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია, აგრეთვე მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და მისი შედეგების თაობაზე ინფორმაცია განთავსდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ 72 დღით ადრე საბჭოს ვებგვერდზე აგრეთვე ქვეყნდება სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის თაობაზე ინფორმაცია.“.

Comment [A30]: საქმე ეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების 2/3 უმრავლესობით არჩევას

Formatted: Font: 11 pt

Comment [A31]: სასურველია 2 დღიანი ვადა გაიზარდოს 7 დღემდე (იხ. JILEP-ის რეკომენდაცია)

29. 50-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ღია ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა. დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის თაობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ღია კენჭისყრით მხარს უჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3“

Comment [T32]: დისციპლინურ საკითხებზე საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება შეუსაბამოა კენჭისყრის ფარულობის პრინციპთან. ვფიქრობთ რომ დისციპლინურ საკითხებზე კენჭისყრა უნდა იყოს არა ფარული, არამედ ღია. რაც შესაძლებელს გახდის დისციპლინურ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას.
Formatted: Font: 11 pt, Highlight

30. 51-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებისგან 4 წლის ვადით ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს არ შეიძლება იმავდროულად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა.

Comment [A33]: ამოღებულია სიტყვები პირველი მოადგილე და მოადგილე

31. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 51¹ მუხლი:

მუხლი 51¹. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური

1. მოსამართლის მიერ სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ობიექტური, მიუკერძოებელი და სრულყოფილი გამოკვლევის და წინასწარი შემოწმების ჩატარების მიზნით იუსტიციის უმაღლეს საბჭოში იქმნება დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობს დამოუკიდებელი ინსპექტორი.
2. დამოუკიდებელი ინსპექტორს 5 წლის ვადით ირჩევს და სამსახურიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ასევე მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის 1/3 უფლებამოსილია შესაბამისი საფუძვლების არსებობისას იუსტიციის საბჭოს მიმართოს წინადადებით დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.
3. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ კონკურსის წესით დამოუკიდებელ ინსპექტორად შეიძლება აირჩიოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით/უმაღლესი განათლების დიპლომით, სპეციალობით (მათ შორის მოსამართლეთა) კომპონის არანაკლებ 105 წლის გამოცდილება, მაღალი რეპუტაცია.
4. დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

Formatted: Font: 11 pt, Highlight

Formatted: Font: 11 pt, Highlight

Formatted: Font: 11 pt, Pattern: Clear (Green), Highlight

ა) პირადი განცხადება;

ბ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

გ) მის მიმართ საბოლოოდ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

დ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;

ე) ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ვადის ამოწურვა;

ვ) გარდაცვალება;

ზ) წელიწადში 3 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობა;

თ) მოვალეობის სისტემატური შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;

ი) მოსამართლეთა უფლებების უხეში ან სისტემატური შელახვა

კ) შეუფერებელი ქცევა, რომელიც სახელს უტეხს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს.

ლ) შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობა;

5. დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობის ადგილია იუსტიციის უმაღლესი საბჭო

6. დამოუკიდებელი ინსპექტორი კონკურსის წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დამოუკიდებელი ინსპექტორის აპარატის თანამშრომლებს.

7. დისციპლინურ სამართალწარმოებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია. ის ვალდებულია ასეთი ჩარევის შესახებ განუცხადოს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

8. დამოუკიდებელი ინსპექტორი გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოსამართლეთა კონფერენციას.

32. 53- ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები კარგავს ძალას, თუ პირი გამოცდის ჩაბარებიდან 10 წლის განმავლობაში არ ჩაირიცხა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ან არ აირჩა მოსამართლის თანამდებობაზე“.

Comment [n34]: 7 წლიანი ვადა უნდა გაიზარდოს 10 წლამდე

33. 56-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სასამართლოს აპარატის ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას ახორციელებს სასამართლოს მენეჯერი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში. სასამართლოს მენეჯერი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასამართლოს აპარატის მოსამსახურეებს (სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსის,

სასამართლოს მანდატურის, მოსამართლის თანაშემწისა და სასამართლო სხდომის მდივნის გარდა).“.

34. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 56¹ მუხლი

მუხლი 56¹ სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი

1. საერთო სასამართლოების ადმინისტრირებასა და მენეჯმენტზე ზედამხედველობას ახორციელებს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი

2. სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი

ა. შეისწავლის საერთო სასამართლოებში საქმეთა ნაკადის მართვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სასამართლოების დატვირთულობის და საქმეთა განხილვის მაჩვენებლებს, მოსამართლეთა მივლინების საჭიროებებს, საქმისწარმოების, ასევე მოქალაქეთა მომსახურების ხარისხთან დაკავშირებულ ინფორმაციას და რეკომენდაციებს წარუდგენს შესაბამის სასამართლოებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

ბ. ზედამხედველობს საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის ფუნქციონირებას და მისი დახვეწის მიზნით რეკომენდაციებს წარუდგენს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;

გ. ზედამხედველობს სასამართლოს რესურსების ეფექტურ და ყაირათიან გამოყენებას, რა მიზნითაც კოორდინაციას ახორციელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტთან და საერთო სასამართლოებთან.

დ. შეისწავლის მენეჯერულ გამოცდილებას როგორც კერძო ასევე საჯარო სექტორში, ასევე სასამართლო მენეჯმენტის საერთაშორისო გამოცდილებას, ხელს უწყობს მენეჯერული კულტურის დანერგვას საერთო სასამართლოებში, იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან თანამშრომლობით ხელს უწყობს სასამართლოს თავმჯდომარეების, სასამართლო მენეჯერების და სასამართლო აპარატის სხვა მოხელეთა მენეჯერული უნარ ჩვევების გაღრმავებას.

ე. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს დასკვნებს და რეკომენდაციებს სასამართლოების ადმინისტრირების მნიშვნელოვან საკითხებზე.

ვ. ახორციელებს კანონმდებლობით და იუსტიციის საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 56² სასამართლო მენეჯმენტს დეპარტამენტის თავმჯდომარის არჩევა, დეპარტამენტის საქმიანობის წესი

1. სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს კონკურსის წესით ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
2. სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარე გაწეული საქმიანობის თაობაზე ანგარიშს აბარებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს
3. სასამართლო დეპარტამენტის მენეჯმენტის თავმჯდომარის შერჩევისა და გათავისუფლების, დეპარტამენტის დაკომპლექტებისა და საქმიანობის წესები განისაზღვრება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით;

35. 57-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. სასამართლოს აპარატის მოხელე, რომლის ფუნქციები პირდაპირ არ არის დაკავშირებული სასამართლოში სამართალწარმოების განხორციელებასთან, დამხმარე და შტატგარეშე მოსამსახურეები თანამდებობაზე ინიშნებიან და თანამდებობიდან თავისუფლდებიან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.“.

36. კანონს დამატოს შემდეგი შინაარსის 58¹ მუხლი:

„მუხლი 58¹. მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილება

1. რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები ნაწილდება ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, საქმეთა თანაბარი და შემთხვევითი განაწილების პრინციპების დაცვით ~~წესით, რაც გულისხმობს მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილებას საქმეთა შემოსვლის რიგისა და მოსამართლეთა რიგითობის მიხედვით. შემოსვლის რიგით ყოველი მომდევნო საქმე გადაეცემა რიგითობით მომდევნო მოსამართლეს და მოსამართლეთა თანაბარი დატვირთვის პრინციპი~~

2. საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესს ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

~~2. მოსამართლეთა რიგითობა განისაზღვრება მოსამართლის გვარის პირველი, ხოლო იგივეობის შემთხვევაში მომდევნო ასოს მიხედვით. რიგითობით პირველი ნომერი ენიჭება იმ მოსამართლეს, რომლის გვარის პირველი, ხოლო იგივეობის შემთხვევაში მომდევნო ასო ანბანის მიხედვით პირველია. ერთნაირი გვარის მქონე მოსამართლეთა რიგითობა განისაზღვრება მათი სახელების პირველი, ხოლო იგივეობის შემთხვევაში მომდევნო ასოს მიხედვით.~~

~~3. საქმეთა განაწილების ელექტრონულ პროგრამაში სასამართლო კოლეგიებისა და პალატების არსებობის შემთხვევაში, მოსამართლეთა რიგითობა განისაზღვრება ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კოლეგიებისა და პალატებისათვის ცალ ცალკე.~~

3. ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას დასაშვებია საქმეების ელექტრონული სისტემის გარეშე განაწილება სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ამ მუხლის პირველი მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რიგითობის წესითრიგითობის წესით, რაც

Comment [A35]: ვფიქრობთ რომ რიგითობის პრინციპის ნაცვლად უპირატესობა უნდა მიენიჭოს შემთხვევითი განაწილების პრინციპს.

Formatted: Font: 11 pt

Formatted: Font: 11 pt

გულისხმობს მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილებას საქმეთა შემოსვლის რიგისა და მოსამართლეთა ანბანური რიგითობის მიხედვით.“.

37. 64-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

3. ადმინისტრაციული კომიტეტის შემადგენლობას და კომიტეტის თავმჯდომარეს ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია 3 წლის ვადით. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.

Formatted: Font: 11 pt

Comment [A36]: ამოღებულია სიტყვები პირველი მოადგილე და მოადგილე

38. 65-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია ცალკე უყრის კენჭს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებს იმ 3 მოსამართლე წევრის თანამდებობაზე, რომლებიც ამ კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, უფლებამოსილი არიან. საბჭოს წევრის თანამდებობასთან ერთად შეითავსონ სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა, და ცალკე უყრის კენჭს კანდიდატებს დანარჩენი 5 მოსამართლე წევრის თანამდებობაზე, რომლებიც უფლებამოსილი არ არიან. შეითავსონ რომელიმე ასეთი თანამდებობა. პირს, რომელსაც უკავია უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო ან საკვალიფიკაციო პალატის წევრის, სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობა და სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა და კენჭს იყრის იუსტიციის საბჭოს წევრად, ამ წევრის თანამდებობაზე, რომელსაც არ აქვს უფლება, შეითავსოს რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი თანამდებობა. წევრად არჩევის შემთხვევაში უწყდება იუსტიციის საბჭოს წევრის თანამდებობასთან შეუთავსებელ თანამდებობაზე ყოფნის უფლებამოსილება. ~~ამ~~ იმ 3 წევრის თანამდებობაზე, რომლებსაც უფლება აქვთ, შეითავსონ სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა, წევრად არჩევის მსურველთა რაოდენობა სამზე ნაკლებია, ან კენჭისყრის შედეგად სამზე ნაკლებმა წევრმა დააგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა, ვაკანტურ ადგილზე შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც არ უკავია სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა.

Comment [A37]: ამოღებულია სიტყვები პირველი მოადგილე და მოადგილე

39. 68-ე მუხლის მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6¹ პუნქტი:

„6¹. მოსამართლე მუშაობის სტაჟში ითვლება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად მუშაობის პერიოდი, გარდა 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“, „ე“, „თ“, „ი“, „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

40. 68-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

7. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისათვის, უზენაესი სასამართლოს წევრის, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარისა და საერთო სასამართლოს მოსამართლისათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესს ადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სახელმწიფო ხელისუფლების შტოთა დადგენილი ანალოგიურ თანამდებობის პირთა რანგირების მიხედვით.

Comment [A38]: ამოღებულია სიტყვები პირველი მოადგილე და მოადგილე

Formatted: Font: 11 pt

410. 70-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

Formatted: Font: 11 pt

„მუხლი 70. საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის წესი

1. საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლეს, რომელიც მოსამართლის თანამდებობაზე დაინიშნა ამ კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, ასევე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს, ენიშნება კომპენსაცია, თუ:

Formatted: List Paragraph, Numbered + Level: 1 + Numbering Style: 1, 2, 3, ... + Start at: 1 + Alignment: Left + Aligned at: 0.49" + Indent at: 0.74"

ა) მიაღწია 65 წლის ასაკს და აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 4 წლის სტაჟი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი თანამდებობიდან გათავისუფლდა მის მიმართ საბოლოოდ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის გამო);

Formatted: List Paragraph, Indent: Left: 0.74"

ბ) თანამდებობიდან გათავისუფლდა (უფლებამოსილება შეუწყდა) 65 წლის ასაკის მიღწევის გამო და აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 4 წლის სტაჟი;

გ) თანამდებობიდან გათავისუფლდა (უფლებამოსილება შეუწყდა) უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო და აქვს სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 15 წლის სტაჟი (მათ შორის მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟი);

დ) თანამდებობიდან გათავისუფლდა (უფლებამოსილება შეუწყდა) სასამართლოს ლიკვიდაციის გამო და რეზერვში ყოფნის პერიოდში არ იღებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ოდენობის თანამდებობრივ სარგოს;

ე) თანამდებობიდან გათავისუფლდა (უფლებამოსილება შეუწყდა) პირადი განცხადებით და აქვს სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 15 წლის სტაჟი (მათ შორის მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟი);

ვ) თანამდებობიდან გათავისუფლდა (უფლებამოსილება შეუწყდა) პირადი განცხადებით ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, რაც მომავალში შეუძლებელს ხდის მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებას და აღნიშნული დასტურდება შესაბამისი სამედიცინო დასკვნით.

2. რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის კომპენსაციის ოდენობა არის მოსამართლისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტისათვის მისი თანამდებობრივი სარგოს :

Formatted: Numbered + Level: 1 + Numbering Style: 1, 2, 3, ... + Start at: 1 + Alignment: Left + Aligned at: 0.49" + Indent at: 0.74"

ა) 50 %- სამოსამართლო უფლებამოსილების 4-დან 10 წლამდე სტაჟის შემთხვევაში;

ბ) 60 %- სამოსამართლო უფლებამოსილების 10-დან 20 წლამდე სტაჟის შემთხვევაში;

გ) 70 %- სამოსამართლო უფლებამოსილების 20-დან 30 წლამდე სტაჟის შემთხვევაში;

დ) 80 %- სამოსამართლო უფლებამოსილების 30 წლის და მეტი სტაჟის შემთხვევაში.

3. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის კომპენსაცია განისაზღვრება უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობის

Formatted: Numbered + Level: 1 + Numbering Style: 1, 2, 3, ... + Start at: 1 + Alignment: Left + Aligned at: 0.49" + Indent at: 0.74"

- მიხედვით, ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი საპროცენტო განაკვეთების შესაბამისად.
4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრს ენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის შესაბამისად.
 5. კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს 600 ლარზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოქმედი მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს 80 %-ს.
 6. კომპენსაციის ოდენობის შემცირება დაუშვებელია. საქართველოს კანონმდებლობის ნებისმიერი ცვლილება, რომლითაც იზრდება მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს ან/და კომპენსაციის ოდენობა, იწვევს დანიშნული კომპენსაციის ოდენობის ავტომატურად გადაანგარიშებას.“

42. 77- ემუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 77. მოსამართლის კომპენსაციის გაანგარიშება

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს, რომელსაც უფლებამოსილება შეუწყდა პირადი განცხადებულ საფუძველზე 2005 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე და დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია ხელფასის სრული ოდენობით იმ ვადით, რა ვადითაც მას უნდა განეხორციელებინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილება, უნარჩუნდება ეს კომპენსაცია ხელფასის სრული ოდენობით, უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლის შრომის ანაზღაურების ყოველთვიური ცვლილების შესაბამისად. აღნიშნული უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ, კომპენსაცია გაიანგარიშება უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს მიხედვით, ამ კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი საპროცენტო განაკვეთების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოსამართლის სამოსამართლო უფლებამოსილების სტაჟი 4 წელზე ნაკლებია, კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს 50 %-ის
2. მოსამართლეს სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნება ამ კანონის 70-ე მუხლით (გარდა პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა) დადგენილი წესითა და ოდენობით, თუ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის:
 - ა) 46-ე-49-ე მუხლებისა და 85-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დაინიშნა მოსამართლის თანამდებობაზე;
 - ბ) საფუძველზე გაიარა სავალდებულო საკვალიფიკაციო ატესტაცია და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა რაიონულ (საქალაქო), საოლქო, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში იმ ვადის ფარგლებში, რომლითაც იგი დანიშნული იყო რაიონის (ქალაქის),

Formatted: Numbered + Level: 1 + Numbering Style: 1, 2, 3, ... + Start at: 1 + Alignment: Left + Aligned at: 0.74" + Indent at: 0.99"

Formatted: Indent: Left: 0.99"

თბილისის საქალაქო, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში;

გ) 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“, „ლ“ ან „უ“ ქვეპუნქტის , ასევე 86 1 მუხლის მე-4 პუნატის საფუძველზე 1999 წლის წლის 15 მაისიდან შუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება და აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟი;

დ) 85² მუხლის საფუძველზე 1999 წლის 15 მაისიდან გაუგრძელდა უფლებამოსილება“.

Formatted: Font: Sylfaen

Formatted: Font: 11 pt

Formatted: List Paragraph, Indent: Left: 0.74"

Formatted: Font: 11 pt

„1. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას ან ამ კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ასაკის მიღწევისას ენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია 1200 ლარის ოდენობით.“.

მუხლი 2

2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებს და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეების მოადგილეებს უწყდება უფლებამოსილება და 2015 წლის 1 სექტემბრამდე მათვე ეკისრებათ შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილების შესრულება. 43-ე მუხლის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში სასამართლოს მენეჯერებმა უზრუნველყონ ამ კანონით გათვალისწინებული სასამართლოს აპარატის მოქმედი მოსამსახურეების თანამდებობაზე გადანიშნვა.

Formatted: Indent: First line: 0"

1. თანამდებობაზე 10 წლის ვადით დანიშნული მოსამართლე სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ, თავმჯდომარის მოადგილედ, პალატის/საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარედ, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარედ ან კოლეგიის თავმჯდომარედ შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 3 წლისა.

Comment [T39]: ვერ ვხედავთ საჭიროებას რომ სასამართლოს მენეჯერებმა გადანიშნონ თავმჯდომარის მიერ დანიშნული მოსამსახურეები

2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატების თავმჯდომარეებს (საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარის გარდა) უწყდებათ უფლებამოსილება და 2016 წლის 1 იანვრამდე, მათვე ეკისრებათ შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება. 2016 წლის პირველი იანვრისთვის შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ სასამართლოების და პალატების თავმჯდომარეების არჩევა.

3. ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზრუნველყოს სათანადო სამართლებრივი აქტების ამ კანონთან შესაბამისობა ~~გარდა ამ კანონის კანონის 58¹ პირველი მუხლის 36-ე პუნქტით გათვალისწინებული წესის გარდა.~~

4. 2015 წლის 1 ~~ექტემბრამდე~~ საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზრუნველყოს ამ კანონის ამ კანონის პირველი მუხლის 26-ე პუნქტით გათვალისწინებული პირველი მუხლის 362-ე პუნქტით გათვალისწინებული საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის ~~წესის შემუშავება და დამტკიცება რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მისი ამოქმედება.~~ 2016 წლის 01 იანვრიდან 15 1-სექტემბრამდე საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილება განხორციელდეს ელექტრონულად ამ კანონის პირველი მუხლის 362-ე პუნქტით გათვალისწინებული წესით. ~~58¹ მუხლით გათვალისწინებული წესით.~~

ამოქმედებამდე არსებული წესით.

მუხლი 3

ამ კანონის ~~საფუძველზე~~ 2016⁵ წლის 01 იანვრიდან 15 დეკემბრიდან ~~ამოქმედებისთანავე~~ ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დავისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონი.

Formatted: Font: 11 pt

მუხლი 4

1. ~~ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს. გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული ნორმებისა~~

2. ~~ამ კანონის პირველი მუხლის 31-ე და 34-ე პუნქტები ამოქმედდეს 2015 წლის 01 თქტემბრიდან.~~

3. ~~ამ კანონის პირველი მუხლის 26-ე პუნქტი ამოქმედდეს 2015 წლის 1 2015 წლის 15 დეკემბრიდან.სექტემბრიდან. ამ კანონის პირველი მუხლის მე-9 (კანონის 19¹ მუხლის პირველი პუნქტი), მე-12 (კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი), მე-13 (მოქმედი კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი), მე-15 (მოქმედი კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი), მე-16 (მოქმედი კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი), მე-18 (მოქმედი კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტი), მე-19 და 36-ე პუნქტები ამოქმედდეს 2016 წლის 01 იანვრიდან.~~

Formatted: Font: 11 pt

Comment [T40]: საუბარია დამოუკიდებელ ინსპექტორსა და სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტზე

Formatted: Font: 11 pt

~~ბ. 28-ე პუნქტი ამოქმედდეს 2015 წლის 1 სექტემბრიდან.~~

Formatted: Highlight

Formatted: Font: 11 pt, Highlight

Formatted: Highlight

~~გ. 30-ე პუნქტი ამოქმედდეს 2015 წლის პირველი დეკემბრიდან.~~

Formatted: Font: 11 pt, Highlight

Formatted: Highlight

Formatted: Font: 11 pt, Highlight

განმარტებითი ბარათი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს სასამართლო სისტემის გარდაქმნის პროცესში შემდგომი რეფორმების განხორციელების საჭიროება, კერძოდ, მისი შემუშავება განპირობებულია საერთო სასამართლოთა სისტემაში არსებული იმ პრობლემებით, რამაც შეიძლება ექვეყნეშ დააყენოს სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. რიგ შემთხვევებში აღნიშნული გამოწვეულია კანონმდებლობაში არსებული არასრულყოფილი რეგულაციებით, ბუნდოვანი ცნებებით და სხვა სახის ხარვეზებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებებთან პაკეტი, მათ შორის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესატანი ცვლილების პროექტი, გაგზავნილ იქნა ვენეციის კომისიაში, რომელმაც დადებითად შეაფასა მიმდინარე რეფორმის ძირითადი პრინციპები. ვენეციის კომისიის მიერ მომზადებულ დასკვნაში ასახული რეკომენდაციებისა და მოსაზრებების დიდი ნაწილი გაზიარებულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონპროექტში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია სასამართლო სისტემის მეტი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიების შექმნა, მისი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, კანონში არსებული ცალკეული პროცედურების დახვეწა და ხარვეზების გამოსწორება.

~~ცვლილების მიზანია უზრუნველყოფილ იქნეს მოსამართლეთა მეტი ჩართულობა სასამართლო სისტემის ადმინისტრირების პროცესში და გამოირიცხოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთათვის მიუღებელი კანდიდატურების სასამართლოს თავმჯდომარეებად დანიშვნა. კანონპროექტით დგინდება სასამართლოს თავმჯდომარის, უზენაეს სასამართლოს პალატების თავმჯდომარეთა არჩევითობის ინსტიტუტი. ეს არის სასამართლოს დამოუკიდებლობისკენ გადადგმული უპრეცედენტო ნაბიჯი, რომელიც ცვლის დღემდე არსებულ ცენტრალიზებულ სისტემას, რომელიც წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით, არც თუ ისე პოზიტიურად მოქმედებს თითოეული მოსამართლის დამოუკიდებლობაზე¹.~~

ამასთან, კანონპროექტი ითვალისწინებს სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეებისა ~~და თავმჯდომარეების მოადგილეების~~ ადმინისტრაციული უფლებამოსილებების სასამართლოს მენეჯერზე გადანაწილებას, რათა მათ სრულყოფილად შეძლონ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება. გარდა ამისა, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოთა თავმჯდომარეებს აღარ ექნებათ საქმეთა განაწილების ფუნქცია, რათა გამოირიცხოს მათი მხრიდან ნებისმიერი სახის მანიპულაცია თუ თვითნებობა.

კანონპროექტი მიზნად ისახავს სამართლიანი და თანაბარი პირობების შექმნას მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, კერძოდ, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, მოქმედი რეგულირებისგან განსხვავებით, თანაბარ პირობებში მოექცევიან იუსტიციის მსმენელები და ის პირები, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისაგან. ორივე დასახელებული კატეგორიის პირები მონაწილეობას მიიღებენ ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში და ამ პროცესში აღარ მიენიჭება უპირატესობა იუსტიციის მსმენელებს. კანონპროექტი ასევე აწესრიგებს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში მოსამართლეობის კანდიდატა ობიექტური და სრულფასოვანი შეფასების მიზნით მათზე ინფორმაციის მოძიების წესს. ცვლილების თანახმად, კონკურსის სამართლიანად წარმართვის გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით რეგულირდება ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევა და მოსამართლეობის კანდიდატებს უფლება ენიჭებათ გაასაჩივრონ მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება.

¹ მხედველობაშია მისაღები ე.წ. მოსმენების სისტემა, რომელიც ახლო წარსულში მყარად იყო ფეხგადგმული საერთო სასამართლოებში და ქმნიდა იერარქიული მექანიზმების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას ინდივიდუალურ საქმეებზე ზეგავლენის მიზნით (იხ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მართლმსაჯულება საქართველოში, გვ. 17, 2010. შედარებისთვის, ასევე იხ. კვიციანის რეკომენდაციები სასამართლოს დამოუკიდებლობაზე აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნებში, 2010, პარ. 11).

წარმოდგენილი ცვლილების მიზანია მოსამართლის მივლინებისა და საქმეთა განაწილების საკითხი, როგორც საერთო სასამართლოების ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანი თემები, ასახოს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში. ამისათვის, კანონპროექტი ძალადაკარგულად აცხადებს „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონს და აღნიშნული კანონით მოწესრიგებული მივლინების საკითხი, ისევე როგორც საქმეთა განაწილების წესი, განისაზღვრება ორგანული კანონით. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ცვლილება მოქმედი დებულებებისაგან განსხვავებულად აწესრიგებს მითითებულ საკითხებს, კერძოდ, მივლინების შემთხვევებისათვის იქმნება მოსამართლეთა დაცვის უფრო მეტი სამართლებრივი გარანტიები, ხოლო საქმეთა განაწილება მოხდება ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რიგითობის წესით.

გარდა აღნიშნულისა, წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია დახვეწოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის შემადგენლობისა და სადისციპლინო პალატის წევრის დანიშვნის საკითხები, შექმნას მოსამართლის დამოუკიდებლობის მეტი გარანტიები, უკეთ მოაწესრიგოს მოსამართლის სხვა სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე დანიშვნისა და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის დაწინაურების საკითხები.

კანონპროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს სასამართლოს სისტემის მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. წარმოდგენილი ცვლილებით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებული იქნება მის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია განათავსოს ვებგვერდზე.

კანონპროექტით გათვალისწინებულია საერთო სასამართლოების სისტემის მოსამართლეთათვის სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის შექმნა, სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა კონკრეტული კრიტერიუმების, ასაკობრივი ცენზისა და სპეციალობით მუშაობის (მათ შორის მოსამართლედ მუშაობის სტაჟის) გათვალისწინებით, მ.შ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის საკითხი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით ცვლილება შედის ორგანული კანონის მე-7 მუხლში, რომელიც ადგენს, რომ არავის აქვს უფლება მიუთითოს მოსამართლეს, თუ როგორი გადაწყვეტილება მიიღოს კონკრეტულ საქმეზე.

მე-13 მუხლში გათვალისწინებული ცვლილებით **ღია სხდომაზე** საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება ქვეყნდება საერთო სასამართლოების ვებ გვერდზე. სამართალწარმოების მონაწილეს, ან **სასამართლო გადაწყვეტილებაში მოხსენიებულ სხვა პირს** უფლება აქვს განცხადებით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაფარვა.

Formatted: Font: 11 pt

მე-18 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული ცვლილებით უზენაესი სასამართლოს პლენუმის შემადგენლობაში აღარ შევლენ სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეები.

ამავე მუხლში შესული ცვლილებით პლენუმის სხდომების საჯაროობა დგინდება კანონით.

საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით უქმდება სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ინსტიტუტი, რომელიც ქმნის მიზანშეუწონელ იერარქიას სასამართლოს სისტემაში.

მე-20 მუხლში შესული ცვლილებით უზენაესი სასამართლოს პალატების თავმჯდომარეთა არჩევის ვადა მცირდება 5 წლიდან 3 წლამდე.

კანონპროექტით ცვლილება შედის ორგანული კანონის მე-19 მუხლში. ცვლილების თანახმად, სადისციპლინო პალატის წევრთა კანდიდატურების დასახელების უფლება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ერთპიროვნული უფლებამოსილება აღარ იქნება. სადისციპლინო პალატის წევრთა კანდიდატურების დასახელების უფლება ექნება უზენაესი სასამართლოს პლენუმის ნებისმიერ წევრს.

კანონის 21-ე მუხლში შესული ცვლილებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დროებით არყოფნისას მის უფლებამოსილებას მისივე ბრძანებით ახორციელებს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარე. თავმჯდომარის ბრძანების არარსებობისას მის მოვალეობას ასრულებს პალატის ის თავმჯდომარე, რომელსაც მოსამართლედ მუშაობის უფრო მეტი გამოცდილება აქვს.

23-ე და 30-ე მუხლებში შესული ცვლილებებით მოსამართლისთვის სხვა პალატაში, ან სხვა კოლეგიაში, ან სასამართლოს გარეთ მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების შესრულების დავალდებულება ხდება საქმეთა განაწილების ელექტრონული წესის მეშვეობით. აღნიშნულის შესახებ სასამართლოს თავმჯდომარემ უნდა აცნობოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილებას სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების თავმჯდომარეებისა ~~და თავმჯდომარეების მოადგილეების~~ თანამდებობაზე გამწესების წესში. ამ მიზნით ცვლილება შედის ორგანული კანონის 23-ე, 25-ე, 26-ე და 32-ე მუხლებში. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დანიშვნის ნაცვლად, სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების თავმჯდომარეებსა ~~და თავმჯდომარეების მოადგილეებს~~ თავად აირჩევენ შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეები. კანდიდატის დასახელების უფლება ექნება შესაბამისი ინსტანციის სასამართლოს ნებისმიერ მოსამართლეს. შესაბამისად, სავალდებულო აღარ იქნება, რომ სასამართლოს თავმჯდომარისა ~~და თავმჯდომარის მოადგილეობის~~ კანდიდატი იყოს სასამართლოს პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარე, თუმცა, ამ უკანასკნელთ არ ეზღუდებათ სასამართლოს თავმჯდომარედ ~~/თავმჯდომარის მოადგილედ~~ არჩევის უფლება. სასამართლოს თავმჯდომარე/~~მოადგილე~~ სასამართლოს პალატის/კოლეგიის

წევრია ან თავმჯდომარეობს მას. ამასთან, კანონპროექტით განისაზღვრება სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, ~~თავმჯდომარის მოადგილის~~, სასამართლოს პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარის, ისევე როგორც რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის/სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები.

რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოთა თავმჯდომარეებს ეზღუდებათ ადმინისტრაციული ფუნქციები. კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებით, ისინი მხოლოდ ზედამხედველობას გაუწევენ სასამართლოს აპარატის მუშაობას. სასამართლოს აპარატის უშუალო ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას განახორციელებს სასამართლოს მენეჯერი.

~~რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეთა ფუნქცია აღარ ექნება აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად საქმის განხილვის დავალება ამავე სასამართლოს სხვა პალატაში ან საგამომიებო კოლეგიაში/ამავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში (სასამართლო კოლეგიაში), ასევე მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების დავალება ან მაგისტრატი მოსამართლისათვის მისი სამოქმედო ტერიტორიის გარეთ საქმის განხილვის დავალება. აღნიშნულ უფლებამოსილებას განახორციელებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სასამართლოს თავმჯდომარეთა წინადადების საფუძველზე.~~

რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეებს აღარ ექნება სასამართლო პრაქტიკის განზოგადების უფლებამოსილება. ვალდებულება თუმცა, ის ორგანიზებას გაუწევს სასამართლოს მუშაობას, შეისწავლის და განაზოგადებს საქმეთა ნაკადის მართვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ასევე განაზოგადებს მოქალაქეთა განცხადებებს, საჩივრებსა და წინადადებებს.

~~კანონის 34-ე მუხლს ემატება მე-5 პრიმა პუნქტი, რომლის თანახმადაც 34-ე მუხლის მე-5 პუნქტში გათვალისწინებული შეზღუდვა (საკვალიფიკაციო გამოცდის ვადის მოქმედების ვადა) არ ვრცელდება იმ მოსამართლეზე, რომელიც გათავისუფლდა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და აღარ არსებობს ის ნორმა, რომლის საფუძველზეც პირი გათავისუფლდა მოსამართლის თანამდებობიდან. აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია იმ მიზნით, რომ კანონის უხეში დარღვევის გამო დისციპლინური წესით გათავისუფლებულ მოსამართლეებს მიეცეთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა სამოსამართლო ვაკანსიაზე დანიშნულ კონკურსში მათი უფლებამოსილების შეწყვეტიდან გასული ვადის მიუხედავად.~~

ახალი რედაქციით ყალიბდება ორგანული კანონის 35-ე მუხლი, რომელიც ადგენს მოსამართლის თანამდებობის დაკავების წესს. მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ყველა შემთხვევაში აცხადებს

Formatted: Indent: First line: 0.5", Right: 0", Space Before: 6 pt

Formatted: Font: 11 pt, Highlight

კონკურსს, რომელში მონაწილეობის უფლებაც ექნებათ როგორც იუსტიციის მსმენელებს, ასევე პირებს, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისაგან. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი იქნება განაცხადის წარდგენა. დგინდება კანდიდატების რეგისტრაციის მინიმალური ვადაც. თუ კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მიერ წარდგენილი განაცხადები და თანდართული დოკუმენტები შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას. კანონპროექტი კონკურსის მიმდინარეობისას ადგენს ობიექტურობისა და თანასწორობის, ასევე დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებს. გარდა ამისა, დგინდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვალდებულება, რომ მოსამართლეობის კანდიდატებს მათი მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების ან გამწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება გადასცეს არაუგვიანეს გადაწყვეტილების მიღებიდან ხუთი სამუშაო დღისა. ამასთან, ვენეციის კომისიის დასკვნაში გამოთქმული რეკომენდაციის გათვალისწინებით, **საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრება მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები და მათი მახასიათებლები**². კანონპროექტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეთა შერჩევისას დაეყრდნობა ორ ძირითად კრიტერიუმს - კეთილსინდისიერებას და კომპეტენტურობას, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავენ ცალკეულ მახასიათებლებს.

კანონს ემატება 35¹-35⁴-ე მუხლები, რომლებიც ადგენს მოსამართლეობის კანდიდატის თაობაზე სანდო ინფორმაციის მოძიების წესს, ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევებსა და მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმს. მოსამართლეობის კანდიდატებზე ინფორმაციის მოძიებას განახორციელებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36⁴ მუხლით გათვალისწინებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომელიც შეამოწმებს კანდიდატების მიერ წარდგენილი ინფორმაციის სიზუსტეს, მათ პროფესიულ რეპუტაციას და საქმიანობას, ასევე მათ მიმართ წარსულში არსებულ სისხლისსამართლებრივი/დისციპლინური დევნის ან/და ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ინფორმაციას. კანონით განისაზღვრება ინფორმაციის წყაროები, ასევე შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ინფორმაციის მოძიების პროცედურა, მოძიებული ინფორმაციის გამოყენების მიზანი და მისი კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება. გასათვალისწინებელია, რომ კონკურსის პროცესში აუცილებელია მოსამართლის წინასწარი თანხმობის მიღება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინფორმაციის, მათ შორის, პერსონალური მონაცემების გადამოწმების/მოძიების თაობაზე. კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებული ინფორმაცია მხედველობაში არ მიიღება. მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეობის კანდიდატს უფლება აქვს გაეცნოს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მის შესახებ არსებულ ინფორმაციას, წარადგინოს დამატებითი ინფორმაცია და/ან სათანადო წესით გააბათილოს მის შესახებ მოპოვებული მონაცემები. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრი

²CDL-AD(2014)03 Opinion on the Draft Law on Amendments to the Organic Law on General Courts, პარაგრაფი 50.

ვალდებული იქნება სრულყოფილად შეისწავლოს კანდიდატის შესახებ არსებული სანდო ინფორმაცია და დოკუმენტები. მოსამართლეობის კანდიდატებთან მხოლოდ ამ პროცესის დასრულების შემდეგ დაინიშნება გასაუბრება.

რაც შეეხება ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევას, თუ კონკურსის მიმდინარეობისას სახეზე იქნება გარემოება, რომელიც საეჭვოს გახდის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ობიექტურობას, დამოუკიდებლობას ან/და მიუკერძოებლობას, იგი ვალდებული იქნება წინასწარ განაცხადოს ამის შესახებ და არ მიიღოს მონაწილეობა შესაბამისი კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის აცილების თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხმათა უმრავლესობით.

კანონპროექტით შემოთავაზებული მოსამართლეობის კანდიდატების ინტერესების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიაა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმის შემოღება. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2014 წლის 1 აგვისტოს განხორციელებული ცვლილებით, მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისტემაში შეიქმნა საკვალიფიკაციო პალატა და დეტალურად განისაზღვრა პალატის მიერ საჩივრის განხილვის პროცედურა, მათ შორის, საჩივრის წარდგენისა და განხილვის ვადები, საჩივრის რეკვიზიტები და თანდართული დოკუმენტაციის ჩამონათვალი, მხარეთა უფლება-მოვალეობანი საქმის წარმოების პროცესში და სხვ. კანონპროექტის შესაბამისად, სწორედ საკვალიფიკაციო პალატა იქნება ის უფლებამოსილი ორგანო, რომელიც განიხილავს ასევე მოსამართლეობის კანდიდატთა საჩივრებს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაზე.

კანონპროექტის შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატს უფლება ენიჭება მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში, თუ მიაჩნია, რომ:

- კონკურსის მიმდინარეობისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (წევრები) მიუკერძოებელი იყო (იყვნენ);
- კონკურსის მიმდინარეობისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის (წევრების) მიდგომა დისკრიმინაციული იყო;
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა (წევრებმა) გადაამეტა (გადაამეტეს) მისთვის (მათთვის) საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას, რის შედეგადაც დაირღვა მოსამართლეობის კანდიდატის უფლებები ან საფრთხე შეექმნა სასამართლოს დამოუკიდებლობას;

- ინფორმაცია, რომელიც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილებას, არსებითად მცდარია, რის დამადასტურებლადაც მოსამართლეობის კანდიდატმა შესაბამისი მტკიცებულებები წარადგინა;

- კონკურსის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დარღვევით განხორციელდა, რასაც შეემლო არსებითად ემოქმედა საბოლოო შედეგზე.

კანონპროექტის შესაბამისად, საქმის განხილვის შედეგად საკვალიფიკაციო პალატა იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ ან მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

კანონპროექტის თანახმად, საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ, საკვალიფიკაციო პალატის აზრით, შესაბამისმა დარღვევამ გავლენა მოახდინა საბოლოო შედეგზე და გამოიწვია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არსებითად არასწორი გადაწყვეტილების მიღება. უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილების გათვალისწინებით ხელახლა განიხილავს კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების ან გამწესებაზე უარის თქმის შესახებ.

[კანონის 36-ე მუხლში გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასების 1 თვიანი ვადა, რომელიც მეტისმეტად მცირეა, იცვლება ორთვიანი ვადით.](#)

კანონპროექტი დეტალურად აწესრიგებს საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილების საფუძველზე მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების საკითხს შესაბამისი ვაკანსიის არსებობის/არარსებობის შემთხვევაში. 70-ე მუხლის პირველი პუნქტის ცვლილებით, ცნებათა ერთგვაროვნების მიზნით, „საპენსიო ასაკის“ ნაცვლად კანონი მითითებას აკეთებს ამავე კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნტზე, რომლის თანახმად, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია 65 წლის ასაკის მიღწევა.

ორგანული კანონის 37-ე მუხლი უშვებს მოსამართლის სხვა სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე დანიშვნას მხოლოდ იმავე და ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, განსხვავებით არსებული რედაქციისაგან, რომლის თანახმად მოსამართლე შეიძლება დაინიშნოს როგორც იმავე ან ზემდგომი, ისე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ. ამასთან, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნისას

იგი უნდა აკმაყოფილებდეს მოსამართლის დაწინაურებისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნას.

37¹ მუხლის დამატებით კანონპროექტი აწესრიგებს მოსამართლეთა მივლინების საკითხებს. განსხვავებით მოქმედი რეგულირებისა, რაიონულ (საქალაქო)/სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის არყოფნისას ან განსახილველ საქმეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდის შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების წინადადებით თავდაპირველად მიმართავს რეზერვში მყოფ მოსამართლეს/მოსამართლეებს, ხოლო უარის შემთხვევაში - იმავე ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეებს. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წინადადებაზე თანხმობის/უარის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება წინადადების მიღებიდან 7 დღეში. იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილი იქნება მიავლინოს მოსამართლე მისი თანხმობით და 1 წლამდე ვადით, მხოლოდ იმავე ინსტანციის სასამართლოში. კანონპროექტი ასევე მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ მოსამართლის თანხმობის გარეშე მივლინება ტერიტორიულად ახლომდებარე სასამართლოდან დასაშვები იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული წესით ვერ მოხდა მოსამართლის შერჩევა. ასეთი მოსამართლე გამოვლინდება წილისყრით. მას ექნება საკუთარი მოსაზრების ზეპირად ან/და წერილობით წარდგენის უფლება. აღსანიშნავია, რომ ვენეციის კომისიის ერთ-ერთ რეკომენდაციას წარმოადგენდა გამოკვეთილიყო მოსამართლის მიერ მივლინების თაობაზე მოსაზრების წარდგენის დატვირთვა და რეალური შედეგი³, რაც ასევე გათვალისწინებულ იქნა კანონპროექტში, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო განიხილავს მივლინების თაობაზე მოსამართლის მოსაზრებას და, თუ მიიჩნევს, რომ არსებობს ისეთი გარემოებები, რომელთა გამოც მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინება მიზანშეუწონელია, ატარებს ხელახალ წილისყრას ამ პუნქტით დადგენილი წესით. მოსამართლის მივლინება მისი თანხმობის გარეშე შესაძლებელი იქნება 10 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ. მივლინების ვადის გასვლის შემდეგ დაუშვებელი იქნება მოსამართლის მივლინება მომდევნო 3 წლის განმავლობაში. მივლინების საფუძვლების აღმოფხვრისას მივლინება შეწყდება დადგენილ ვადაზე ადრე. მივლინების საფუძვლებთან ერთად, შესაბამის სასამართლოში იმავდროულად ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებული იქნება გონივრულ ვადაში გამოაცხადოს კონკურსი მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად და ამ გზითაც იზრუნოს ვაკანსიის შევსებაზე.

41-ე მუხლში გათვალისწინებული ცვლილების თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის დაწინაურებისათვის, ნაცვლად 2 წლისა, სავალდებულო იქნება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში უფლებამოსილების განხორციელების 5 წლიანი გამოცდილება. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლის დადგენილ ვადაზე ადრე დაწინაურების შესაძლებლობა ვენეციის კომისიის მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეტისმეტად ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებად შეფასდა, უქმდება ორგანული კანონის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი გამონაკლისი,

³ ივე. პარაგრაფი 39

რომლის თანახმად, მოსამართლე შეიძლება დაწინაურდეს დადგენილ ვადაზე ადრე, თუ მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის სამართლის განვითარებაში, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებაში, აგრეთვე თუ მან სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში გამოავლინა მაღალკვალიფიციური სამოსამართლო უნარ-ჩვევები.⁴

კანონპროექტის 47-ე მუხლში შესული ცვლილება ადგენს, რომ საქართველოს პარლამენტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხუთივე წევრს ირჩევს სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით. აღნიშნული ცვლილების საჭიროება გამოიწვია იმან, რომ დღეს არსებული რეგულაციით შეუძლებელი გახდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის ამ ვაკანტური თანამდებობის შევსება.

გარდა ზემოაღნიშნული ცვლილებებისა, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, საბჭოს ვალდებულებად განისაზღვრება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, საბჭოს შემადგენლობის ცვლილების და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის, აგრეთვე მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და მისი შედეგების თაობაზე ინფორმაციის საბჭოს ვებგვერდზე განთავსება. ამასთან, საბჭო ვალდებული იქნება საბჭოს სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ 2 დღით ადრე უზრუნველყოს სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის თაობაზე ინფორმაციის საბჭოს ვებგვერდზე განთავსება.

კანონის 50 -ე მუხლის მე-3 პუნქტში შესული ცვლილებით იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინურ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით სრული შემადგენლობის უმრავლესობით. შემაჯამებელ გადაწყვეტილებას იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს კვლავ 2/3 ით. კენჭისყრის ღიაობის საჭიროება გამომდინარეობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვალდებულებიდან დაასაბუთოს საკუთარი გადაწყვეტილება, რაც შეუძლებელია კენჭისყრის ფარულობისას.

კანონპროექტის მნიშვნელოვანი ნოვაციაა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, რომელიც იქმნება დისციპლინური საქმეების მიუკერძოებელი, ობიექტური და სრული შემოწმებისა და მოკვლევის მიზნით. აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია იმით, რომ დღეს არსებული სისტემა ვერ უძლებს კრიტიკას. დისციპლინური სამართალწარმოება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პარალიზებულია, საზოგადოებრივი ნდობა დისციპლინური სამართალწარმოების მიმართ არის ძალიან დაბალი; იცვლება დისციპლინური გადაცდომების სისტემა, კერძოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონში შესული ცვლილებით იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა დაადგინოს დისციპლინური გადაცდომების დეტალური ჩამონათვალი, რომელთა დამტკიცება ხარისხიან და ობიექტურ მოკვლევას მოითხოვს.

⁴ იქვე. პარაგრაფები 63-65

დამოუკიდებელ ინსპექტორს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კონკურსის წესით შეარჩევს 5 წლის ვადით და ათავისუფლებს მხოლოდ მკაცრად დადგენილი საფუძვლის არსებობისას. დამოუკიდებელ ინსპექტორს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კონკურსის წესით შეარჩევს 5 წლის ვადით და ათავისუფლებს მხოლოდ მკაცრად დადგენილი საფუძვლის არსებობისას. მა საბჭო დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია. ის ვალდებულია ასეთი ჩარევის მცდელობის თაობაზე აცნობოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

კანონს ემატება 58¹ მუხლი, რომელიც აწესრიგებს საქმეთა განაწილების წესს. ცვლილების ამოქმედების შემდეგ საქმეთა განაწილება მოხდება რიგითობის ალბათობის წესით, ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ამავე დროს, ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას დასაშვებია იქნება სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საქმეების განაწილება ელექტრონული სისტემის გარეშე, რიგითობის წესის დაცვით.

კანონის 53-ე მუხლის მე-4 პუნქტში შესული ცვლილებით მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების მოქმედების ვადა იზრდება 7 წლიდან 10 წლამდე.

კანონპროექტს ემატება 56¹ მუხლი, რომელიც ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის შექმნას. აღნიშნული დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს და ზედამხედველობს ყველა იმ საკითხს, რაც დაკავშირებულია სასამართლოს სისტემის ეფექტურ ადმინისტრირებასთან: ასეთი საკითხებია მოქალაქეთა მომსახურების ხარისხი, საქმეთა ნაკადის მართვა, საქმისწარმოების ვადები, სასამართლების დატვირთულობა, მოსამართლეთა მივლინების საჭიროებათა დადგენა და სხვ. აღნიშნული დეპარტამენტი ასევე კოორდინაციას გაუწევს მენეჯერულ რგოლებს სასამართლოს სისტემაში და მიიღებს ყველა ღონისძიებას, რომ მოსამართლეებს ჰქონდეთ ეფექტური მხარდაჭერა გონივრულ ვადებში საქმეთა განხილვისთვის.

კანონპროექტის შესაბამისად, ძალადაკარგულად ცხადდება „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონი.

კანონპროექტით 68-ე მუხლს ემატება 6¹ პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს, რომ მოსამართლედ მუშაობის სტაჟში ითვლება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად მუშაობის პერიოდი, ასევე ახლებურად ყალიბდება 70-ე მუხლის რედაქცია, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრისათვის კომპენსაციის დანიშვნის წესს. შესაბამისად, გარჯკვეული ცვლილება შედის და ახალი რედაქციით ყალიბდება კანონის 77-ე მუხლი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ცვლილებას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს. ეს დასაზუსტებელია, ფინანსური გაანგარიშება დასჭირდება 68- ე მუხლის 6¹ პუნქტის, 70-ე და 77-ე მუხლების ახლებურ რედაქციას.

Comment [T41]: ეს ჩანაწერი გადასახედა. უზენაეს სასამართლოში მოსამართლეებს დამატება აუცილებლობით გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

არ იწვევს ფინანსურ შედეგებს.

Comment [t42]: ეს დასაზუსტებელია, რადგან 68- ე მუხლის 6¹ პუნქტის, 70-ე და 77- ე მუხლების ახლებურ რედაქციას მოჰყვება გარკვეული ფინანსური საკითხები კონკრეტულ პირთა წრის მიმართ, მაგ. 70-ე მუხლის პიქრელი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში მითითებული პირები, არანაკლებ 15 წლის სტაჟით (მ. შ. მოსამართლე მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟით) არის დაახლოებით 80-მდე

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებისას კონსულტაციები იქნა გავლილი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან, შესაბამის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო და სხვ.). კანონპროექტში ასევე გათვალისწინებულია ვენეციის კომისიის დასკვნაში გამოთქმული რეკომენდაციები და მოსაზრებები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.

Formatted: Font: Sylfaen

Formatted: Normal, Indent: First line: 0"

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება

მუხლი 7. მოსამართლის დამოუკიდებლობა

1. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. არავის არა აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

2. მოსამართლის ჩამოცილება საქმეთა განხილვისაგან, მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ესა თუ ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.

4. თუ საქმის განმხილველი სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუციას არ შეესაბამება ნორმატიული აქტი, რომლის შემოწმებაც არ განეკუთვნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად.

მუხლი 13. საქმის განხილვის საქვეყნობა

±

1. სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე.
2. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
3. სასამართლო გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ცხადდება საქვეყნოდ.
4. (ამოღებულია – 06.03.2013, №260).
5. სასამართლოში, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის ფოტო-, ვიდეოგადაღება ხორციელდება ამ კანონით დადგენილი წესით.

Formatted: Georgian (Georgia)

Formatted: Georgian (Georgia)

Field Code Changed

Formatted: Georgian (Georgia)

მუხლი 14. საქართველოს უზენაესი სასამართლო

±

1. საქართველოს უზენაესი სასამართლო (შემდგომში – უზენაესი სასამართლო) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა.
2. უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 90-ე მუხლის პირველი პუნქტითა და ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

Field Code Changed

Formatted: Georgian (Georgia)

Formatted: Georgian (Georgia)

მუხლი 15. უზენაესი სასამართლოს სტრუქტურა

±

Formatted: Georgian (Georgia)

Field Code Changed

Formatted: Georgian (Georgia)

Formatted: Georgian (Georgia)

1. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობას განსაზღვრავს უზენაესი სასამართლოს პლენუმი.

2. უზენაეს სასამართლოში იქმნება:

ა) სამოქალაქო საქმეთა პალატა;

ბ) ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა;

გ) სისხლის სამართლის საქმეთა პალატა;

დ) დიდი პალატა;

ე) პლენუმი;

ვ) სადისციპლინო პალატა;

ზ) საკვალიფიკაციო პალატა.

მუხლი 18. უზენაესი სასამართლოს პლენუმი

1. უზენაესი სასამართლოს პლენუმი შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილეების, უზენაესი სასამართლოს წევრებისა და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებისაგან.

2. პლენუმი უფლებამოსილია:

ა) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით აირჩიოს დიდი პალატის შემადგენლობა;

ბ) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით აირჩიოს უზენაესი სასამართლოს პალატების შემადგენლობები და მათი თავმჯდომარეები;

გ) დანიშნოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრი;

დ) საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკრეტული საქმის განხილვასთან და სასამართლო პრაქტიკის განზოგადებასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანოს წარდგინება ნორმატიული აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე;

ე) საქართველოს პარლამენტს იმპიჩმენტის საქმეზე მისცეს დასკვნა თანამდებობის პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის ან არარსებობის შესახებ. დასკვნაში პლენუმი შემოიფარგლება იმ ქმედების იურიდიული შეფასებით, რომელიც იმპიჩმენტის საკითხის აღმძვრელ პარლამენტის წევრთა მიერ მიჩნეულია დადგენილად;

ვ) საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს რეკომენდაციები უზენაესი სასამართლოს კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების თაობაზე;

ზ) მოისმინოს და შეაფასოს უზენაესი სასამართლოს პალატების თავმჯდომარეთა ინფორმაციები, უზენაესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ხელმძღვანელების ანგარიშები, განიხილოს მათი საქმიანობის სრულყოფასთან დაკავშირებული წინადადებები;

თ) შექმნას უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით დანიშნოს მისი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგია;

ი) შექმნას უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, დაამტკიცოს მისი დებულება, შემადგენლობა და სწავლული მდივანი;

კ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით უზენაესი სასამართლოსთვის გათვალისწინებული დაფინანსების ფარგლებში განსაზღვროს უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური დანამატის ოდენობა;

ლ) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით დაამტკიცოს უზენაესი სასამართლოს აპარატის რეგლამენტი, მოხელეთა და სხვა მუშაკთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთები;

ლ¹) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით დაამტკიცოს უზენაეს სასამართლოში სტაჟირების გავლის წესი და უზენაესი სასამართლოს აპარატის მოსამსახურეთა შეფასების წესი;

მ) მოამზადოს და გამოაქვეყნოს ყოველწლიური ანგარიში საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ;

ნ) განახორციელოს სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური ფუნქციებიდან გამომდინარე და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

3. პლენუმი ვალდებულია:

ა) დაიცვას და განამტკიცოს სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი და თანასწორუფლებიანი შტოს – სასამართლო ხელისუფლების – ინსტიტუციური დამოუკიდებლობა, უზრუნველყოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობა;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს სასამართლო ხელისუფლებისადმი ხალხის ნდობისა და რწმენის განმტკიცება.

4. პლენუმი უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მის სხდომას ესწრება პლენუმის წევრთა არანაკლებ ორი მესამედისა. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა სხდომის მონაწილეთა არანაკლებ ორმა მესამედმა.

5. პლენუმი მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ. პლენუმის სხდომას ნიშნავს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან პლენუმის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის მოთხოვნით.

6. პლენუმის სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ შესაბამისი სპეციალისტები და სხვა პირები.

მუხლი 19. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა

1. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატას 3 წევრის შემადგენლობით, 3 წლის ვადით ამტკიცებს უზენაესი სასამართლოს პლენუმი. სადისციპლინო პალატის წევრთა კანდიდატურებს (მათ შორის, პალატის თავმჯდომარის კანდიდატურას) უზენაესი სასამართლოს წევრთაგან პლენუმს დასამტკიცებლად წარუდგენს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

2. სადისციპლინო პალატის წევრის გათავისუფლების უფლება აქვს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

3. თუ უზენაესი სასამართლოს პლენუმმა ორჯერ არ დაამტკიცა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ წარდგენილი სადისციპლინო პალატის წევრის კანდიდატურა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს, მის დამტკიცებამდე,

არა უმეტეს 6 თვისა, უზენაესი სასამართლოს წევრთაგან დანიშნოს სადისციპლინო პალატის წევრის მოვალეობის შემსრულებელი.

4. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია საქმის განხილვას სადისციპლინო პალატაში კონკრეტული საჩივრის განხილვის დროით ჩამოაშოროს პალატის ის წევრი, რომელსაც ამ საჩივართან დაკავშირებით აქვს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული აცილების საფუძველი. ასეთ შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უზენაესი სასამართლოს წევრთაგან ნიშნავს სადისციპლინო პალატის წევრის მოვალეობის შემსრულებელს.

5. სადისციპლინო პალატის წევრი სრულყოფილად ახორციელებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილებას.

6. სადისციპლინო პალატა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით განიხილავს საჩივრებს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებებზე.

მუხლი 19¹. უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა

Field Code Changed

1. უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა ამ კანონის 36¹ და 36² მუხლებით დადგენილი წესით განიხილავს საჩივრებს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებზე.

2. საკვალიფიკაციო პალატას 3 წევრის შემადგენლობით, 2 წლის ვადით ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი. საკვალიფიკაციო პალატის წევრი არ შეიძლება იყოს უზენაესი სასამართლოს ის მოსამართლე, რომელიც იმავდროულად არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

3. საკვალიფიკაციო პალატის წევრთა კანდიდატურებს (მათ შორის, საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარის კანდიდატურას) უზენაესი სასამართლოს წევრთაგან ასარჩევად უზენაესი სასამართლოს პლენუმს წარუდგენს პლენუმის ნებისმიერი წევრი. თუ უზენაესი სასამართლოს პლენუმმა ორჯერ ვერ აირჩია წარდგენილი კანდიდატურა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს, საკვალიფიკაციო პალატის წევრის არჩევამდე, არაუმეტეს 6 თვის ვადით, უზენაესი სასამართლოს წევრთაგან დანიშნოს საკვალიფიკაციო პალატის წევრის მოვალეობის შემსრულებელი.

4. საკვალიფიკაციო პალატის წევრს ათავისუფლებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უზენაესი სასამართლოს პლენუმის თანხმობით.

5. საკვალიფიკაციო პალატის წევრი ვალდებულია კონკრეტული საჩივრის განხილვის დროით ჩამოშორდეს საქმის განხილვას, თუ მას ამ საჩივართან დაკავშირებით აქვს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული აცილების საფუძველი. ამ შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აღნიშნული საჩივრის განხილვის ვადით, უზენაესი სასამართლოს წევრთაგან ნიშნავს საკვალიფიკაციო პალატის წევრის მოვალეობის შემსრულებელს.

6. უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის წევრი სრულად ახორციელებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილებას.

მუხლი 20. უზენაესი სასამართლოს პალატების თავმჯდომარეები

1. უზენაესი სასამართლოს პალატებს ჰყავთ თავმჯდომარეები. პალატის თავმჯდომარეს (გარდა სადისციპლინო პალატის თავმჯდომარისა) ამ პალატის შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი. სადისციპლინო პალატის თავმჯდომარეს ამ პალატის შემადგენლობიდან 3 წლის ვადით ამტკიცებს უზენაესი სასამართლოს პლენუმი ამ კანონის მე-19 მუხლით დადგენილი წესით. უზენაესი სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე პალატის თავმჯდომარის (გარდა სადისციპლინო პალატის თავმჯდომარისა) უფლებამოსილება შეიძლება განახორციელოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ.

2. უზენაესი სასამართლოს პალატების თავმჯდომარეები (გარდა სადისციპლინო პალატის თავმჯდომარისა) იმავდროულად არიან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები.

3. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს უზენაესი სასამართლოს პალატების თავმჯდომარეთაგან (გარდა სადისციპლინო პალატის თავმჯდომარისა) ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი.

მუხლი 21. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

1. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე:

ა) საერთო ხელმძღვანელობას უწევს უზენაესი სასამართლოს საქმიანობას;

ბ) შეიძლება იყოს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარე; უძღვება უზენაესი სასამართლოს პლენუმისა და დიდი პალატის სხდომებს, საჭიროების შემთხვევაში თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს პალატების სხდომებს;

გ) (ამოღებულია - 01.05.2013, №580);

დ) საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობის ზოგად საკითხებთან დაკავშირებით მართლმსაჯულების განმახორციელებელი სასამართლო ხელისუფლების სახელით წარმართავს ურთიერთობას სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და მოსახლეობასთან;

ე) წარმართავს უზენაესი სასამართლოს აპარატის მუშაობას;

ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უზენაესი სასამართლოს აპარატის მოხელეებსა და სხვა მუშაკებს;

ზ) განსაზღვრავს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მოსამართლეს, რომელიც გასცემს ბრძანებას „კონტრაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების ჩატარების თაობაზე;

თ) მოსამართლის მიმართ აღძრავს დისციპლინურ დევნას და ახორციელებს სხვა დისციპლინურ უფლებამოსილებებს;

ი) წყვეტს მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაკავების ან დაპატიმრების, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ჩხრეკის საკითხებს;

კ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დროებით არყოფნისას მის უფლებამოსილებას ახორციელებს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი პირველი მოადგილის დროებით არყოფნისას თავმჯდომარის უფლებამოსილებას მისივე ბრძანებით ახორციელებს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.

მუხლი 23. სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობა

1. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

2. სააპელაციო სასამართლოში იქმნება:

- ა) სამოქალაქო საქმეთა პალატა;
- ბ) ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა;
- გ) სისხლის სამართლის საქმეთა პალატა;
- დ) საგამომიებო კოლეგია.

3. სააპელაციო სასამართლოს პალატებსა და საგამომიებო კოლეგიაში მოსამართლეთა რაოდენობას და მათ შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

4. აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის განხილვაში მონაწილეობა ამავე სასამართლოს სხვა პალატაში ან საგამომიებო კოლეგიაში.

5. სააპელაციო სასამართლოს თითოეულ პალატას და საგამომიებო კოლეგიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც შესაბამისი პალატისა და კოლეგიის შემადგენლობიდან 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. თუ მოსამართლე უვადოდ არ არის დანიშნული, იგი თავმჯდომარედ დაინიშნება თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 5 წლისა.

6. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს პალატებისა და საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარეთაგან 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. თუ მოსამართლე უვადოდ არ არის დანიშნული, იგი თავმჯდომარედ ან თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნება თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 5 წლისა.

7. სააპელაციო სასამართლოს, მისი პალატის ან საგამომიებო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მისი უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება დაეკისროს ამავე სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია შეუწყვიტოს მოსამართლეს მისთვის დაკისრებული თავმჯდომარის უფლებამოსილება.

მუხლი 25. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

1. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე:

ა) თავმჯდომარეობს სასამართლოს ერთ-ერთ პალატას ან საგამომიებო კოლეგიას;

ბ) წარმართავს და ზედამხედველობს სასამართლოს აპარატის მუშაობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასამართლოს მენეჯერსა და სასამართლოს აპარატის სხვა მოსამსახურეებს, შეუფარდებს მათ დისციპლინურ სახდელებს;

გ) უზრუნველყოფს სასამართლო პრაქტიკის, მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განზოგადებას და განზოგადების მასალებს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;

დ) ამ კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს ავალებს საქმის განხილვაში მონაწილეობას ამავე სასამართლოს სხვა პალატაში ან საგამომიებო კოლეგიაში;

ე) კანონით დადგენილი წესით განსახილველად ანაწილებს სასამართლოში შემოსულ საქმეებსა და სხვა მასალებს;

ვ) უზრუნველყოფს სასამართლოში წესრიგის დაცვას, უფლებამოსილია სასამართლო სხდომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაადგინოს სხდომის დაწყებამდე პროცესის მონაწილეებისა და დამსწრე პირების შემოწმება და სასამართლოს შენობაში ან სხდომის დარბაზში ცალკეული საგნის შეტანის აკრძალვა; ასევე უფლებამოსილია, დარბაზის ფართობიდან გამომდინარე, შეზღუდოს სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირთა რაოდენობა;

ზ) სასამართლოში წესრიგის დარღვევის, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის ან სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში უფლებამოსილია, წესრიგის დარღვევის მიმართ გამოიყენოს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებანი. სასამართლოს თავმჯდომარის მიერ აღნიშნულ საკითხზე განკარგულების მიღებისა და მისი გასაჩივრების წესი განისაზღვრება საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის დროებით არყოფნისას თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 26. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილება

1. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე:

ა) მონაწილეობს საქმეთა განხილვაში;

ბ) თავმჯდომარეობს სასამართლოს ერთ-ერთ პალატას ან საგამომიებო კოლეგიას;

გ) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით ზედამხედველობას უწევს სასამართლოს აპარატის მუშაობას, სასამართლოს თავმჯდომარესთან შეაქვს წინადადებები შრომის შინაგანაწესის უხეშად დარღვევისა თუ სხვაგვარი დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო სასამართლოს აპარატის მოხელეებისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე;

დ) სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით, მართლმსაჯულების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს;

ე) კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სასამართლო პრაქტიკის, მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განზოგადებას და განზოგადების მასალებს წარუდგენს სასამართლოს თავმჯდომარეს;

ვ) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნისას ასრულებს მის მოვალეობას;

ზ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის დროებით არყოფნისას თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას ასრულებს სასამართლოს ერთ-ერთი პალატის ან საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარე.

მუხლი 30. მოსამართლეთა სპეციალიზაცია

1. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორი მოსამართლეა, ერთი განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, ხოლო მეორე – სამოქალაქო და სხვა კატეგორიის საქმეებს, გარდა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა. მოსამართლეთა სპეციალიზაცია ხორციელდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. საქმეთა წარმოების განსაკუთრებული ინტენსიურობის მქონე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორზე მეტი მოსამართლეა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება განხორციელდეს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია ან შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები (შემდგომში – სასამართლო კოლეგიები).

3. სასამართლო კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობას ადგენს და სასამართლო კოლეგიების შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

4. სასამართლო კოლეგიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც კოლეგიის შემადგენლობიდან 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. თუ მოსამართლე უვადოდ არ არის დანიშნული, იგი თავმჯდომარედ დაინიშნება თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 5 წლისა.

5. აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, სასამართლოს თავმჯდომარემ მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის განხილვა ამავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში (სასამართლო კოლეგიაში), ასევე მაგისტრატე მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება, ხოლო მაგისტრატე მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის განხილვა მისი სამოქმედო ტერიტორიის გარეთ, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

მუხლი 32. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეთაგან, ხოლო იმ სასამართლოში, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, –

სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეთაგან, 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. თუ მოსამართლე უვადოდ არ არის დანიშნული, იგი თავმჯდომარედ დაინიშნება თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 5 წლისა.

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე:

ა) პირადად განიხილავს საქმეებს, თავმჯდომარეობს ერთ-ერთ სასამართლო კოლეგიას;

ბ) წარმართავს და ზედამხედველობს სასამართლოს აპარატის მუშაობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასამართლოს მენეჯერსა და სასამართლოს აპარატის სხვა მოსამსახურეებს, შეუფარდებს მათ დისციპლინურ სახდელებს;

გ) კანონით დადგენილი წესით განსახილველად ანაწილებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობისთვის მიკუთვნებულ საქმეებს;

დ) ორგანიზებას უწევს სასამართლოს მუშაობას;

ე) ამოღებულია ;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სასამართლო პრაქტიკის, მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განზოგადებას და განზოგადების მასალებს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;

ზ) ახორციელებს ამ კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას;

თ) შეისწავლის სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურების მიზეზებს და შესაბამის მასალებს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;

ი) უზრუნველყოფს სასამართლოში წესრიგის დაცვას, უფლებამოსილია სასამართლო სხდომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაადგინოს სხდომის დაწყებამდე პროცესის მონაწილეებისა და დამსწრე პირების შემოწმება და სასამართლოს შენობაში ან სხდომის დარბაზში ცალკეული საგნის შეტანის აკრძალვა; ასევე უფლებამოსილია, დარბაზის ფართობიდან გამომდინარე, შეზღუდოს სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირთა რაოდენობა;

კ) სასამართლოში წესრიგის დარღვევის, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის ან სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში უფლებამოსილია, წესრიგის დარღვევის მიმართ გამოიყენოს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებანი. სასამართლოს თავმჯდომარის მიერ აღნიშნულ საკითხზე განკარგულების მიღებისა და მისი გასაჩივრების წესი განისაზღვრება საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით;

ლ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოვალეობებს.

3. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნამდე, ხოლო იმ სასამართლოში, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, – სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს (სასამართლო კოლეგიის)

თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება დაეკისროს ამავე სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია შეუწყვიტოს მოსამართლეს მისთვის დაკისრებული თავმჯდომარის უფლებამოსილება.

მუხლი 34. მოთხოვნები, რომლებიც წაყენება მოსამართლეობის კანდიდატს

1. მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს (აირჩეს) საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, გავლილი აქვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი და შეყვანილია იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში.

2. მოსამართლედ არ შეიძლება დაინიშნოს (აირჩეს) ნასამართლევი პირი, აგრეთვე პირი, რომელიც გათავისუფლებული იყო მოსამართლის თანამდებობიდან ამ კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით.

3. მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისაგან თავისუფლდება უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენილი პირი, ასევე ყოფილი მოსამართლე, რომელსაც ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, გამწესებული იყო მოსამართლის თანამდებობაზე უზენაეს სასამართლოში ან რაიონულ (საქალაქო) ანდა სააპელაციო სასამართლოში კონკურსის წესით და აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 18 თვის გამოცდილება. პირი, რომელმაც გაიარა იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი და შეყვანილ იქნა იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში, მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად თავისუფლდება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისაგან, მიუხედავად იმისა, რა ვადით ეკავა მას მოსამართლის თანამდებობა ან იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ დაინიშნა თუ არა იგი ამ თანამდებობაზე.

4. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს კანდიდატურა, რომლის პროფესიული გამოცდილება უნდა შეეფერებოდეს უზენაესი სასამართლოს წევრის მაღალ სტატუსს. ამ გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდება აგრეთვე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენილი პირი.

5. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდება საქართველოს საერთო სასამართლოების ყოფილი მოსამართლე მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტიდან 7 წლის გასვლამდე.

6. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისაგან და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისაგან თავისუფლდებიან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როგორც მოქმედი, ისე ყოფილი წევრები.

მუხლი 35. მოსამართლის თანამდებობის დაკავების წესი

1. პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ჩაითვლება მოსამართლეობის კანდიდატად მას შემდეგ, რაც მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარადგენს განცხადებას. მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება მისი რიგითი ნომერი იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მოსამართლეობის კანდიდატი მოიწვევა სხდომაზე.

2. პირს, რომელიც იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში შეყვანის შემდეგ უარს განაცხადებს მოსამართლის თანამდებობის დაკავებაზე, უფლება არა აქვს, მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარადგინოს განცხადება სიის დამტკიცებიდან 5 წლის განმავლობაში. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო გამონაკლის შემთხვევაში განიხილავს ამ პირის კონკურსზე დაშვების საკითხს.

3. პირი, რომელიც გათავისუფლებულია იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისაგან, მოსამართლის თანამდებობას იკავებს კონკურსის წესით. ეს პირი მოსამართლეობის კანდიდატად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც შეიტანს განცხადებას საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამოცხადებულ კონკურსში. კონკურსს საქართველოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს მეშვეობით აცხადებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლის თანამდებობაზე ვაკანსიის არსებობისას. მოსამართლეობის კანდიდატების რეგისტრაციის ვადას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კონკურსის გამოცხადებისას. კონკურსი ტარდება მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ. კონკურსის ჩატარების პირობები და მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

4. მოსამართლეობის კანდიდატმა განცხადების წარდგენიდან 7 დღეში საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უნდა წარადგინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ცნობა საჯარო სამსახურის ბიუროში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის თაობაზე.

5. თუ კონკურსის საფუძველზე ვერ შეირჩა მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან 3 თვის ვადაში აცხადებს ახალ კონკურსს ამ მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 36. მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნა (არჩევა)

±

1. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით. სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 10 წლის ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

2. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს, საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ ასარჩევი კანდიდატურა, ხოლო

Field Code Changed

Formatted: Georgian (Georgia)

Formatted: Georgian (Georgia)

საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, საქართველოს პარლამენტს ასარჩევად წარუდგინოს ნებისმიერი კანდიდატურა, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის ერთი და იმავე კანდიდატურის წარდგენა შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

4. სააკველაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

4¹. სააკველაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლე თანამდებობაზე გამწესდება 3 წლის ვადით. ამ ვადის გასვლამდე არაუადრეს 2 და არაუგვიანეს 1 თვისა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ მუხლის 4¹ პუნქტით გათვალისწინებული შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს და იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, გაამწესოს თუ არა აღნიშნული მოსამართლე თანამდებობაზე უვადოდ.

4². საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მოსამართლე თანამდებობაზე გამწესდება უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

4³. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ მიიღებს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ გადაწყვეტილებას, იგი ამ კანონის 36⁷ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესით აცხადებს კონკურსს მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად. მოსამართლეს, რომლის შესახებაც არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ, სამოსამართლო უფლებამოსილება შეუწყდება თანამდებობაზე ყოფნის 3-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ, ამ კანონით დადგენილი წესით. ეს მოსამართლე მომდევნო 3 წლის განმავლობაში ვერ მიიღებს მონაწილეობას მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

4⁴. თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლის საქმიანობის შეფასების მიზნით, თანამდებობაზე მისი გამწესებიდან 1 წლის თავზე და 2 წლის თავზე, აგრეთვე მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის 3-წლიანი ვადის გასვლამდე 4 თვით ადრე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო წილისყრით შეარჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ მოსამართლე წევრს და ერთ არამოსამართლე წევრს (შემდგომ – შემფასებლები), რომლებმაც 1 თვის ვადაში, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა შეაფასონ მოსამართლის საქმიანობა შესაბამის პერიოდში. წილისყრის დასრულების შემდეგ შემფასებლების ვინაობა დაუყოვნებლივ ეცნობება შესაფასებელ მოსამართლეს. აღნიშნული ექვსი შეფასება სხვადასხვა შემფასებელმა უნდა განახორციელოს. შეფასების ყოველი პერიოდის ანგარიშებს შესაფასებელი მოსამართლე ეცნობა ამ კანონის 36⁴ მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. ეს ანგარიშები მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის 3-წლიანი ვადის გასვლამდე 3 თვით ადრე, 1 თვის განმავლობაში შესასწავლად გადაეცემათ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს.

4⁵. მოსამართლე უფლებამოსილია ინტერესთა შეუთავსებლობის მოტივით, დასაბუთებული შუამდგომლობით მოითხოვოს იმ შემფასებლის/ შემფასებლების აცილება, რომელმაც/ რომლებმაც უნდა შეაფასოს/ შეაფასონ მისი საქმიანობა შესაბამის პერიოდში, კერძოდ, თუ არსებობს გარემოება, რომელიც ამ შემფასებლის/ შემფასებლების ობიექტურობაში, დამოუკიდებლობაში ან/და მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის სერიოზულ საფუძველს იძლევა. შემფასებლის აცილების თაობაზე გადაწყვეტილებას

იღებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხმათა უმრავლესობით. კენჭისყრაში არ მონაწილეობს ის შემფასებელი, რომლის აცილების საკითხიც განიხილება. ინტერესთა შეუთავსებლობის არსებობის შემთხვევაში შემფასებელი ვალდებულია თვითაცილება განაცხადოს და მონაწილეობა არ მიიღოს შეფასებაში.

5. თუ მოსამართლის მონაწილეობით დაწყებული საქმის განხილვის დამთავრებამდე მან მიაღწია ამ კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ასაკს ან გავიდა მისი თანამდებობაზე ყოფნის ვადა, მოსამართლის უფლებამოსილება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელდეს აღნიშნულ საქმეზე ამ მოსამართლის ან იმ სასამართლო კოლეგიის ან პალატის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, რომლის შემადგენლობაშიც ის არის. იმ ვადის განმავლობაში, რომლითაც მოსამართლეს გაუგრძელდა უფლებამოსილება, ის არ შეიძლება დაინიშნოს (აირჩეს) სასამართლოს თავმჯდომარედ, სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარედ ან რომელიმე ასეთი თანამდებობის პირის მოვალეობის შემსრულებლად. თუ პირი, რომელსაც გაუგრძელდა მოსამართლის უფლებამოსილება, ამ კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ასაკის მიღწევის ან თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლის დროისათვის სასამართლოს თავმჯდომარე, სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე ან რომელიმე ასეთი თანამდებობის პირის მოვალეობის შემსრულებელია, მას, აღნიშნული ასაკის მიღწევის ან თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლის უფლებამოსილების გაგრძელების მიუხედავად, უწყდება შესაბამისად სასამართლოს თავმჯდომარის, სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის ან რომელიმე ასეთი თანამდებობის პირის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილება.

6. მოსამართლის სხვა სასამართლოში გამწესების შემთხვევაში, ახალ თანამდებობაზე მისი სამოსამართლო უფლებამოსილების დაწყებამდე, იგი არ შეიძლება ჩამოცილებულ იქნეს იმ საქმის განხილვისაგან, რომელიც მის წარმოებაში იყო სხვა სასამართლოში გამწესების დროს.

მუხლი 36⁴. მოსამართლის საქმიანობის შეფასების პროცედურა

1. შემფასებლები მოსამართლის საქმიანობას აფასებენ პარალელურად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. შემფასებლები ვალდებული არიან, ერთმანეთს არ გაუმჟღავნონ შეფასებისას მოპოვებული ინფორმაცია და შეფასების შედეგები.

2. შემფასებელი უფლებამოსილია შეფასებისათვის განკუთვნილ 1-თვიან ვადაში ნებისმიერ დროს განახორციელოს საჭირო ღონისძიებები კანონით დადგენილი კრიტერიუმებით მოსამართლის შესაფასებლად, მათ შორის, შეისწავლოს საქმეები, დაესწროს შესაფასებელი მოსამართლის მიერ წარმართულ სასამართლო სხდომებს, მოთხოვნისთანავე მიიღოს როგორც შეფასების პერიოდში, ისე შეფასების პერიოდის დაწყებამდე წარმართული სასამართლო სხდომების აუდიო-, ვიდეოჩანაწერები, ამ კანონით დადგენილი წესით მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, სამართლებრივი კონსულტაციისათვის მიმართოს იურიდიული წრეების წარმომადგენლებს, პირადად შეხვდეს შესაფასებელ მოსამართლეს და სხვა პირებს და დაუსვას კითხვები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოსაპოვებლად. შემფასებელმა შესაფასებელ მოსამართლეს არ უნდა დაუსვას ისეთი კითხვები, რომლებიც შინაარსობრივად შეიძლება კონკრეტულ საქმეზე ანგარიშის მოთხოვნას უტოლდებოდეს. აკრძალულია ისეთი ინფორმაციის მოძიება, რომელიც არ არის დაკავშირებული ამ კანონით დადგენილი კრიტერიუმებით მოსამართლის შეფასებასთან.

მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული მიზნებისათვის. ინფორმაციის მოპოვების მეთოდი არ უნდა ხელყოფდეს შესაფასებელი მოსამართლის დამოუკიდებლობას.

3. შემფასებლებმა, რომლებიც აფასებენ მოსამართლის საქმიანობას შესაბამის პერიოდში, შეფასებისას პარალელურად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა შეისწავლონ შესაფასებელი მოსამართლის მიერ განხილული არანაკლებ 5 ერთი და იგივე საქმე, რომლებზე გამოტანილი შემაჯამებელი/საბოლოო გადაწყვეტილებები კანონიერ ძალაშია შესული, მათ შორის, არანაკლებ 2 საქმე, რომლებზე გამოტანილი შემაჯამებელი/საბოლოო გადაწყვეტილებები ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ გააუქმა/ნაწილობრივ გააუქმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შესასწავლი საქმეები შემთხვევითობის პრინციპით შეირჩევა. საქმის/გადაწყვეტილების შესწავლის მიზანია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონის, მოსამართლის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებში შესაბამისი სამართლის ნორმების გამოყენების სისწორის, სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობისა და დამაჯერებლობის, მოსამართლის ანალიტიკური აზროვნების უნარის, აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარის შეფასება. საქმის/გადაწყვეტილების შესწავლისას აგრეთვე ფასდება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაუქმებულ/ნაწილობრივ გაუქმებულ გადაწყვეტილებაში დაშვებული სამართლებრივი შეცდომების ხასიათი და სერიოზულობა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საქმეთა შეფასების შედეგი არ შეიძლება გახდეს მოსამართლის მიერ ამ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების გადასინჯვის ან/და მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძველი.

5. მოსამართლის შეფასების პროცედურის სრულყოფილად წარმართვის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში იქმნება შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომლის თანამშრომლებიც ტექნიკურ დახმარებას უწევენ შემფასებელს და ასრულებენ მის ცალკეულ დავალებებს კონკრეტული კრიტერიუმით მოსამართლის შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციის მოსაძიებლად.

6. მოსამართლეს, რომლის საქმიანობაც ფასდება, უფლება აქვს, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წერილობით აცნობოს შემფასებლის მიერ უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების თაობაზე. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ დაასკვნის, რომ შემფასებელმა გადაამეტა მისთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას, ის შეფასების ვალდებულებას წილისყრით დააკისრებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხვა წევრს ან განახორციელებს სხვა ღონისძიებებს დარღვევების აღმოფხვრისა და თავიდან აცილების მიზნით.

7. კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება ამ კანონის 36³ მუხლით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლები. ამ მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად შემფასებელი იღებს ერთ-ერთ შემდეგ დასკვნას:

- ა) მოსამართლე არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;
- ბ) მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;
- გ) მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

8. კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლე ფასდება ქულების მეშვეობით, ამ კანონის 36³ მუხლით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მნიშვნელობიდან

გამომდინარე, თითოეული ამ მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობები ერთმანეთისაგან განსხვავდება და შემდეგნაირად განისაზღვრება:

- ა) სამართლის ნორმების ცოდნა – 20 ქულა;
- ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია – 20 ქულა;
- გ) წერის უნარი – 20 ქულა;
- დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი – 15 ქულა;
- ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში – 15 ქულა;
- ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 5 ქულა;
- ზ) პროფესიული აქტივობა – 5 ქულა.

9. შეფასების თითოეული პერიოდის დასრულებისთანავე მოსამართლის შეფასების ანგარიშები დალუქული სახით გადაეცემა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. ამ ანგარიშებში მოცემული შეფასების შედეგების გაანალიზების მიზნით შესაფასებელ მოსამართლეს უფლება აქვს, შეფასების თითოეული პერიოდის დასრულების შემდეგ თავისუფლად გაეცნოს ანგარიშებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საამისოდ გამოყოფილ ადგილას. მასალების გატანა დაუშვებელია. მოსამართლის მიერ ანგარიშების გაცნობის შემდეგ ისინი ილუქება და მის პირად საქმეს დაერთვება.

10. მოსამართლის შეფასების ანგარიში მოიცავს:

ა) დასკვნას, რომელშიც სათანადოდ არის აღწერილი და დასაბუთებული შეფასების ორივე კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიხედვით გამოვლენილი შედეგები;

ბ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ნიმუშის მიხედვით შევსებულ ფორმას, რომელშიც ასახულია კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლის შეფასების შედეგად ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიღებული დასკვნა და კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიხედვით მოსამართლის მიერ მოპოვებულ ქულათა რაოდენობა;

გ) ყველა წერილობით დოკუმენტს და სხვა მასალას, რომლებზე დაყრდნობითაც შეფასდა მოსამართლის საქმიანობა შესაბამის პერიოდში.

11. მოსამართლის შეფასების თაობაზე მონაცემები მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის 3-წლიანი ვადის გასვლამდე კონფიდენციალურია. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არცერთ წევრს და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის არცერთ თანამშრომელს არ აქვს უფლება, გაამჟღავნოს შეფასების შედეგები.

12. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აანალიზებს მოსამართლის 3-წლიანი საქმიანობის განმავლობაში განხორციელებული მისი ყველა შეფასების შედეგებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მოსამართლის მიერ მიღებული შეფასებების შეჯერების მიზნით გამოიანგარიშება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებით შეფასების სამივე პერიოდში განხორციელებული ექვსი შეფასებისას მოსამართლის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი, რის შემდეგაც განისაზღვრება ამ ჯამის პროცენტული სიდიდე კომპეტენტურობის კრიტერიუმისათვის განსაზღვრული ქულების შესაძლო მაქსიმალური რაოდენობის მიმართ.

13. თუ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას შემფასებელთა ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ მოსამართლე არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ან/და კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მოსამართლის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი ვერ აღწევს ქულათა მაქსიმალური რაოდენობის 70 პროცენტს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გამოსცემს სამართლებრივ აქტს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გაშწესების საკითხის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხილვაზე უარის თქმის შესახებ. ეს აქტი შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ამ კანონის 36^ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ე“

ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით, მოსამართლისთვის მისი გადაცემიდან 1 კვირის ვადაში.

14. ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული საჩივრის განხილვის შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით, ღია კენჭისყრით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტის უცვლელად დატოვების შესახებ;

ბ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტის გაუქმებისა და მოსამართლესთან გასაუბრების ჩატარების შესახებ.

15. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ამ კანონის 36⁵ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საფუძვლის დადგენა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტის გაუქმების საფუძველი, თუ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აზრით, შესაბამისმა დარღვევამ გავლენა მოახდინა შეფასების საბოლოო შედეგზე და არსებითად არასწორი გადაწყვეტილების მიღება გამოიწვია.

16. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული, ამ მუხლის მე-14 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

17. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ამ მუხლის მე-14 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ატარებს მოსამართლესთან გასაუბრებას და იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის მე-19 და მე-20 პუნქტებით დადგენილი წესით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლესთან გასაუბრების ჩატარების შედეგად მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ეს გადაწყვეტილება საჩივრდება ამ კანონის 36⁶ მუხლით დადგენილი წესით.

18. მოსამართლეს, რომელსაც უარი ეთქვა მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებაზე, უფლება აქვს, მოითხოვოს, რომ შეფასების შედეგები საჯარო არ გახდეს. ამ შემთხვევაში შეფასების შედეგები დალუქული სახით დაერთვება მოსამართლის პირად საქმეს და გაიხსნება მხოლოდ იმ კონკურსის დროს, რომელშიც იგი კანონით დადგენილი წესით მიიღებს მონაწილეობას მოსამართლის თანამდებობის ხელახლა დასაკავებლად.

19. თუ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას სამი ან სამზე მეტი შემფასებელი მიიჩნევს, რომ მოსამართლე აკმაყოფილებს ან სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მოსამართლის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი ქულათა მაქსიმალური რაოდენობის არანაკლებ 70 პროცენტია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ატარებს მოსამართლესთან გასაუბრებას და ისმენს მის მოსაზრებას შეფასების შედეგების შესახებ. მოსამართლეს უფლება აქვს, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წერილობითი ფორმითავე წარუდგინოს თავისი მოსაზრება შეფასების შედეგების თაობაზე, ასევე ზეპირად ან/და წერილობით წარუდგინოს თვითშეფასება, რაც გულისხმობს მოსამართლის 3-წლიანი საქმიანობის განმავლობაში, მოსამართლის აზრით, მისი ყველაზე წარმატებული და ყველაზე წარუმატებელი გადაწყვეტილების/გადაწყვეტილებების, აგრეთვე მის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას დაშვებული შეცდომების ანალიზის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენას. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად უსმენს შემფასებლებს.

20. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შეფასების შედეგების ანალიზისა და მოსამართლესთან გასაუბრების საფუძველზე, ამ კანონის 36-ე მუხლის 4¹ პუნქტით

დადგენილი წესით მსჯელობს და სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით, ღია კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე გამწესების შესახებ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დაერთვება საქმეს. თუ მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის 2/3-ზე ნაკლები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებაზე უარის თქმის შესახებ. ამ გადაწყვეტილებას 5 დღის ვადაში უნდა დაერთოს კენჭისყრაში მონაწილე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის დასაბუთება, თუ რის საფუძველზე დაუჭირა ან არ დაუჭირა მან მხარი მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებას. მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების/გამწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების ასლი გადაწყვეტილების მიღებისთანავე, განსხვავებულ აზრთან ან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების დასაბუთებებთან ერთად გადაეცემა მოსამართლეს.

21. მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შემთხვევაში მოსამართლის შეფასების ანგარიშები საჯარო ინფორმაციაა და ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს ისინი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავით დადგენილი წესით.

მუხლი 37. მოსამართლის სხვა სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე დანიშნვის წესი

ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევაში შესაძლებელია თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლე მისივე თანხმობით კონკურსის გარეშე დაინიშნოს ქვემდგომი, შესაბამისი ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ. თუ მოსამართლე უვადოდ არ არის დანიშნული, იგი კონკურსის გარეშე ქვემდგომი, შესაბამისი ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ დაინიშნება თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში.

მუხლი 41. მოსამართლის დაწინაურება

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე შეიძლება დაინიშნოს სააპელაციო სასამართლოში, თუ იგი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა 2 წელი მაინც. მოსამართლის დაწინაურების კრიტერიუმებს შეიმუშავებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

2. მოსამართლე შეიძლება დაწინაურდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაზე ადრე, თუ მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის სამართლის განვითარებაში, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებაში, აგრეთვე თუ მან სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში გამოავლინა მაღალკვალიფიციური სამოსამართლო უნარ-ჩვევები.

3. დაწინაურების კრიტერიუმების მიხედვით მოსამართლის შეფასებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

მუხლი 43. მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები

1. მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენა;
- გ) მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობა;
- დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ აღიარება;
- ე) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;
- ვ) მის მიმართ საბოლოოდ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- ზ) 65 წლის ასაკის მიღწევა;
- თ) კორუფციული სამართალდარღვევის ჩადენა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;
- ი) გარდაცვალება;
- კ) სასამართლოს ლიკვიდაცია, მოსამართლის თანამდებობის შემცირება;
- ლ) სხვა სასამართლოში დანიშვნა (არჩევა);
- მ) სხვა დაწესებულებაში თანამდებობაზე არჩევა ან დანიშვნა;
- ნ) უფლებამოსილების ვადის გასვლა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისათვის აუცილებელია სადისციპლინო კოლეგიის წარდგინების არსებობა.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია, მოსამართლე გათავისუფლოს თანამდებობიდან, თუ იგი ბოლო 12 თვის განმავლობაში 4 თვეზე მეტ ხანს ვერ ახორციელებდა თავის უფლებამოსილებას და არსებობს შესაბამისი სამედიცინო დასკვნა, რომლის თანახმადაც, იგი მომავალშიც ვერ შეძლებს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებას.

მუხლი 47. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

1. სასამართლოს (მოსამართლის) დამოუკიდებლობის, მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების, მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზების, სასამართლო რეფორმის გასატარებლად წინადადებების შემუშავებისა და კანონით დადგენილი სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება 15 წევრისაგან. საბჭოს 8 წევრს ამ კანონით დადგენილი წესით ირჩევს საქართველოს საერთო სასამართლოების

მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო, 5 წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხოლო 1 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც თანამდებობრივად არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტს შეადგენენ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ ამ კანონით დადგენილი წესით არჩეული წევრები.

4. საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმოადგენენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული 8 წევრი, მათ შორის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ საერთო სასამართლოს მოსამართლე. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული წევრი არ შეიძლება იყოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო ან საკვალიფიკაციო პალატის წევრი ან რომელიმე სასამართლოს თავმჯდომარე. ასეთი წევრი ასევე არ შეიძლება იყოს სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ან მოადგილე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს თანამდებობა მას თანამდებობრივად უკავია კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარეობის გამო. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ წევრთაგან სამზე მეტი არ შეიძლება იყოს კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.

5. საქართველოს პარლამენტი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 5 წევრს ირჩევს კონკურსის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. საბჭოს წევრობის კანდიდატები შეირჩევიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე პროფესორებისა და მკვლევრებისაგან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისაგან ან/და საქართველოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ წარდგენილი პირებისაგან, შესაბამისი ორგანიზაციის კოლეგიური ხელმძღვანელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე. ზემოაღნიშნული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის ერთ-ერთი სფერო კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში უნდა იყოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში. თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაცია უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს საბჭოს წევრის არაუმეტეს 3 კანდიდატურისა. საქართველოს პარლამენტის წევრის, მოსამართლისა და პროკურორის საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენა არ შეიძლება. საბჭოს წევრთა კანდიდატურების წარდგენის, ამ პუნქტითა და ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის, მათი განხილვისა და პარლამენტის პლენარული სხდომისთვის წარდგენის წესი და ვადა განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით.

6. საქართველოს პარლამენტმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად შეიძლება აირჩიოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით/უმაღლესი განათლების დიპლომით, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება, მაღალი რეპუტაცია და რომელიც სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტია.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევისას საჭიროა წევრობის კანდიდატის წინასწარი წერილობითი თანხმობა.

7. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად პარლამენტის პლენარული სხდომისთვის წარდგენილ კანდიდატებს კენჭი ცალ-ცალკე ეყრებათ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეული კანდიდატები გამოვლინდებიან საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით, ამ პუნქტითა და ამ მუხლის მე-8-მე-10 პუნქტებითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით. თუ კენჭისყრის პირველ ტურში ყველა ვაკანსია ვერ შეივსო, კენჭისყრის მომდევნო ტურებში არჩეული კანდიდატი გამოვლინდება საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ამასთანავე, ასეთი კვორუმით არჩეულ წევრთა რაოდენობა ოთხს არ უნდა აღემატებოდეს.

8. კენჭისყრის პირველ ტურში არჩეულად ჩაითვლებიან კანდიდატები, რომლებიც საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა 2/3-ის ხმებს მიიღებენ. თუ ასეთ კანდიდატთა რაოდენობა არსებულ ვაკანსიაზე მეტი აღმოჩნდა, არჩეულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგის მქონე სათანადო რაოდენობის კანდიდატი. თუ არჩეული ვერ გამოვლინდა რამდენიმე კანდიდატის მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების გამო, ამ კანდიდატებს ხელახლა ეყრებათ კენჭი და არჩეულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი.

9. თუ კენჭისყრის პირველ ტურში ყველა ვაკანსია ვერ შეივსო, იმავე დღეს ან უახლოეს პლენარულ სხდომაზე გაიმართება კენჭისყრის მე-2 ტური, რომელშიც კენჭი ეყრებათ დარჩენილთაგან პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატებს, რომელთა რაოდენობაც ვაკანტურ ადგილებზე ორჯერ მეტი არ უნდა იყოს. თუ კანდიდატთა რაოდენობა ამ რიცხვზე მეტი აღმოჩნდა მათ მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების გამო, კენჭი ეყრება ყველა ასეთ კანდიდატს. მე-2 ტურში არჩევისთვის საკმარისია საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა შემდეგი პირობების დაცვით:

ა) თუ კენჭისყრის მე-2 ტურის გამართვამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში აღმოჩნდა 2/3-ის უმრავლესობით არჩეული 1 წევრი მაინც, კენჭისყრის მე-2 ტურში არჩეულად ჩაითვლებიან კანდიდატები, რომლებიც საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერას მიიღებენ. თუ ასეთ კანდიდატთა რაოდენობა ასარჩევ რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდა, არჩეულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგის მქონე სათანადო რაოდენობის კანდიდატი. თუ არჩეული ვერ გამოვლინდა რამდენიმე კანდიდატის მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების გამო, ამ კანდიდატებს ხელახლა ეყრებათ კენჭი და არჩეულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი;

ბ) თუ კენჭისყრის მე-2 ტურის გამართვამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში არ აღმოჩნდა 2/3-ის უმრავლესობით არჩეული წევრი და მე-2 ტურშიც ვერავინ მიიღო 2/3-ის უმრავლესობის მხარდაჭერა, 1 ადგილი ვაკანტური დარჩება, ხოლო დანარჩენ ადგილებზე არჩეულები გამოვლინდებიან ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით.

10. თუ კენჭისყრის მე-2 ტურის გამართვის შედეგად კვლავ ვერ შეივსო ყველა ვაკანსია, 2 დღის შემდეგ გაიმართება კენჭისყრის მე-3 ტური, რომელშიც კენჭი ეყრებათ დარჩენილთაგან მე-2 ტურში საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატებს და არჩეული კანდიდატები გამოვლინდებიან ამ მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით.

11. თუ კენჭისყრის სამივე ტურის გამართვის შემდეგ ისევ დარჩა შეუვსებელი ვაკანსია, 70 კალენდარული დღის ვადაში გაიმართება ხელახალი არჩევნები ამ მუხლის მე-5–მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით.

11¹. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს კონკურსის საფუძველზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 1 თვისა და არაუგვიანეს 1 კვირისა, ხოლო მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 თვისა. პირველ შემთხვევაში კანდიდატურები საქართველოს პრეზიდენტს წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 30-ე დღიდან 10 დღის განმავლობაში, ხოლო მეორე შემთხვევაში – მისი უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში. კონკურსის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ოფიციალურ ვებგვერდზე და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის წარმდგენი ორგანიზაცია და კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდნენ ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილ შესაბამის მოთხოვნებს. აღნიშნული ორგანიზაცია უფლებამოსილია საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს არაუმეტეს 1 კანდიდატურისა.

12. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი. ერთი და იგივე პირი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არ შეიძლება აირჩეს (დაინიშნოს) ზედიზედ ორჯერ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა არ შეიძლება შეასრულოს თავისი მოვალეობა უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი წევრი უნდა აირჩეს (დაინიშნოს) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 30 კალენდარული დღისა და ამ ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა, ხოლო მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 თვისა. თუ საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი წევრის არჩევისას ეს ვადები მთლიანად ან ნაწილობრივ დაემთხვა საქართველოს პარლამენტის სესიებს შორის პერიოდს, ამ პუნქტით არჩევნებისთვის განსაზღვრული ვადა შესაბამისი დროით გაგრძელდება.

13. საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნულ/საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს არ შეიძლება ეკავოს რაიმე სხვა თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, უშუალოდ ახორციელებდეს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ან საკონსულტაციო ორგანოს წევრის უფლებამოსილებას ან ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა. იგი არ

შეიძლება იყოს პოლიტიკური გაერთიანების წევრი ან/და მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

14. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ მოსამართლეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისათვის საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შესაძლებელია დაუწესოს დანამატები, ხოლო საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ/საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნულ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს თავისი მოვალეობის შესრულებისათვის ეძლევა ანაზღაურება საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. ამ პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები ფინანსდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

15. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებს საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 3 თვეში ერთხელ, იწვევს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობისას ან სხვა შემთხვევაში, თუ არსებობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის მოწვევის კანონით დადგენილი აუცილებლობა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომას იწვევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნითაც.

16. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო ამ მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

17. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებს ხელს აწერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, გარდა ამ მუხლის მე-18 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

18. მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის და თანამდებობიდან გათავისუფლების, უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების, სასამართლოს, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების, აგრეთვე სასამართლოს ლიკვიდაციის და მოსამართლის თანამდებობის შემცირების დროს მოსამართლის უფლებამოსილების დაკისრების ან დაკისრებული უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხებზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებს ხელს აწერს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

მუხლი 48. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) მისი თანხმობით სხვა თანამდებობაზე გადაყვანა ან არჩევა;

გ) სასამართლოს მიერ ქმედუწუნაროდ ან შეზღუდული ქმედუწუნარიანობის მქონედ აღიარება;

დ) მის მიმართ საბოლოოდ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

ე) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;

ვ) ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ვადის ამოწურვა;

ზ) გარდაცვალება;

თ) წელიწადში 4 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობა;

ი) მოვალეობის სისტემატური შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;

კ) შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობა;

ლ) წევრად არჩევა ან დანიშვნა არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ ან ამ კანონით დადგენილი წესის დარღვევით.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისად საქართველოს პარლამენტი ან საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ზ“ ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობისას საქართველოს პარლამენტი ან საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია ასეთი გარემოების არსებობის შესახებ ინფორმაციას იღებს ცნობად, გადაწყვეტილების მიღების გარეშე, ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტის „თ“-„ლ“ ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობისას – კენჭს უყრის გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. საქართველოს პარლამენტი აღნიშნულ გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

3. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებისა, მოსამართლის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია მოსამართლის თანამდებობიდან მისი ვადამდე გათავისუფლება (გადაყენება).

მუხლი 49. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო:

ა) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთს (გარდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრებისა);

ბ) განსაზღვრავს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობას;

გ) განსაზღვრავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეთა სპეციალიზაციას;

დ) ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხასა და სტრუქტურას, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობრივ სარგოს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებსა და თანამდებობათა დასახელებებს,

აგრეთვე საქართველოს საერთო სასამართლოების (გარდა უზენაესი სასამართლოსი) აპარატების სტრუქტურასა და სამტატო რაოდენობას;

დ¹) ადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული წევრებისთვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესს;

ე) შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის წესს;

ვ¹) ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში სტაჟირების გავლის წესს;

ვ²) ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების აპარატების მოსამსახურეთა შეფასების წესს;

გ) განიხილავს სასამართლო სტატისტიკის ანალიზის მასალებს;

ზ) კანონით გათვალისწინებული წესით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ ახორციელებს დისციპლინურ სამართალწარმოებას;

თ) ისმენს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის ანგარიშს;

ი) იღებს გადაწყვეტილებას კანონით დადგენილი წესით მოსამართლის წახალისების შესახებ;

კ) შეიმუშავებს წინადადებებს სასამართლო რეფორმის საკითხებზე;

ლ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება რეგლამენტით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით იქმნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატი.

მუხლი 50. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საკითხის გადაწყვეტის წესი

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს მის სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა უმრავლესობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო პირს მოსამართლედ დანიშნავს, თუ მის კანდიდატურას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრით.

Field Code Changed

მუხლი 51. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი

+

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებისგან 4 წლის ვადით ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს არ შეიძლება იმავდროულად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებების განხორციელების პარალელურად, ანაზღაურების გარეშე.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი:

ა) ახორციელებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას;

ბ) ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოხელეებსა და აპარატის სხვა მოსამსახურეებს;

გ) ამზადებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებს;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს სამსახურებრივ დოკუმენტებს;

ე) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს

მუხლი 56. სასამართლოს აპარატი, სასამართლოს მენეჯერი

1. მართლმსაჯულების დაუბრკოლებლად განხორციელების, სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების, სასამართლო სტატისტიკის ანალიზის, აგრეთვე სასამართლოს სხვა საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქმედებენ სასამართლოთა აპარატები.

2. სასამართლოს აპარატის ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას ახორციელებს სასამართლოს მენეჯერი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

3. უზენაესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურა და სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის წესი განისაზღვრება უზენაესი სასამართლოს აპარატის რეგლამენტით, რომელსაც ამტკიცებს უზენაესი სასამართლოს პლენუმი.

4. სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურა და სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

5. სასამართლოს აპარატის თანამშრომლები არიან სახელმწიფო მოსამსახურეები. სასამართლოს აპარატის მოხელე და დამხმარე მოსამსახურე სარგებლობენ ყველა იმ სოციალური გარანტიით, რომელიც აქვთ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების მოხელესა და დამხმარე მოსამსახურეს.

Formatted: Georgian (Georgia)

Field Code Changed

Formatted: Georgian (Georgia)

Formatted: Georgian (Georgia)

მუხლი 57. მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება სასამართლოს აპარატის თანამშრომელს თანამდებობაზე დანიშვნისას

1. სასამართლოს აპარატის მოხელედ, რომლის ფუნქციები პირდაპირ არის დაკავშირებული სასამართლოში სამართალწარმოების განხორციელებასთან, შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც, როგორც წესი, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, ფლობს სამართალწარმოების ენას, გავლილი აქვს ერთ წლამდე ანაზღაურებადი სტაჟირება საერთო სასამართლოში და სპეციალური სასწავლო კურსი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს/უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

2. ანაზღაურებადი სტაჟირებისას პირი ინიშნება სასამართლოს აპარატის შესაბამის თანამდებობაზე. ანაზღაურებად სტაჟირებად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო მოხელისათვის დადგენილ ძირითად მოთხოვნებს .

3. სასამართლოს აპარატის მოხელედ დანიშვნისას პირი თავისუფლდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურებადი სტაჟირების ან/და სპეციალური სასწავლო კურსის გავლისგან, თუ ის აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:

ა) აქვს მოსამართლედ, პროკურორად , გამომძიებლად ან ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

ბ) ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა;

გ) აქვს იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი;

დ) აქვს სასამართლოში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი.

4. პირი თავისუფლდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალური სასწავლო კურსის გავლისგან, თუ გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სპეციალური სასწავლო კურსი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში.

5. პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ანაზღაურებადი სტაჟირების გავლისგან გათავისუფლებისათვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, საკუთარი სურვილით შეიძლება გაიაროს სტაჟირება საერთო სასამართლოში.

6. სასამართლოს აპარატის მოხელეს, რომლის ფუნქციები პირდაპირ არ არის დაკავშირებული სასამართლოში სამართალწარმოების განხორციელებასთან, დამხმარე და შტატგარეშე მოსამსახურეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასამართლოს თავმჯდომარე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 64. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ორგანიზაციული სტრუქტურა

±

1. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სისტემაში, ამ კანონის 63-ე მუხლით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების ხელშეწყობის მიზნით, იქმნება ადმინისტრაციული კომიტეტი.

2. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი შედგება 9 წევრისაგან. ადმინისტრაციული კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს

Formatted: Georgian (Georgia)

Field Code Changed

Formatted: Georgian (Georgia)

Formatted: Georgian (Georgia)

გადაწყვეტილებები და შეიმუშაოს აქტები საქართველოს საერთო სასამართლოების ადმინისტრირების საკითხებზე; აქტები დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას.

3. ადმინისტრაციული კომიტეტის შემადგენლობას და კომიტეტის თავმჯდომარეს ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია 3 წლის ვადით. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სასამართლოს თავმჯდომარე. მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე

მუხლი 65. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის უფლებამოსილება

+

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია:
ა) მის სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის უმრავლესობით ირჩევს:
ა.ა) ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარესა და წევრებს;
ა.ბ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს და საბჭოს სხვა წევრებს;
ა.გ) საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრებს;

ბ) ამტკიცებს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ქარტიასა და რეგლამენტს;
გ) ისმენს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ხელმძღვანელისა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოველწლიურ ანგარიშებს ამ ორგანოთა მუშაობის შესახებ;

დ) ახორციელებს კანონით, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ქარტიითა და რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;

ე) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით იღებს სამოსამართლო ეთიკის წესებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული არჩევნების ჩატარების დროს კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს.

3. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია ცალკე უყრის კენჭს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებს იმ 3 მოსამართლე წევრის თანამდებობაზე, რომლებიც, ამ კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, უფლებამოსილი არიან, საბჭოს წევრის თანამდებობასთან ერთად შეითავსონ სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა, და ცალკე უყრის კენჭს კანდიდატებს დანარჩენი 5 მოსამართლე წევრის თანამდებობაზე, რომლებიც უფლებამოსილი არ არიან, შეითავსონ რომელიმე ასეთი თანამდებობა. პირს, რომელსაც უკავია უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო ან საკვალიფიკაციო პალატის წევრის, სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა და კენჭს იყრის იმ წევრის თანამდებობაზე, რომელსაც არ აქვს უფლება, შეითავსოს რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი თანამდებობა, წევრად არჩევის შემთხვევაში უწყდება წევრის თანამდებობასთან შეუთავსებელ თანამდებობაზე ყოფნის უფლებამოსილება. თუ იმ 3 წევრის თანამდებობაზე, რომლებსაც უფლება აქვთ, შეითავსონ სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა, წევრად არჩევის მსურველთა რაოდენობა სამზე ნაკლებია, ან კენჭისყრის შედეგად სამზე ნაკლებმა წევრმა დააგროვა ხმათა საჭირო

Formatted: Georgian (Georgia)

Field Code Changed

Formatted: Georgian (Georgia)

Formatted: Georgian (Georgia)

რაოდენობა, ვაკანტურ ადგილზე შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც არ უკავია სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა.

4. თუ საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას ხმათა საჭირო რაოდენობა მიიღო ასარჩევ რაოდენობაზე მეტმა კანდიდატმა, არჩეულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატების ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ვაკანტური ადგილების დასაკავებლად. 2 ან მეტი კანდიდატის მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში ამ კანდიდატებს ხელახლა ეყრებათ კენჭი. არჩეულად ჩაითვლება მათგან საუკეთესო შედეგის მქონე ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა არანაკლებ 1/4-ს.

5. თუ საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას ხმათა საჭირო რაოდენობა მიიღო ასარჩევ რაოდენობაზე ნაკლებმა კანდიდატმა, იმ კანდიდატებს, რომელთაც ვერ მიიღეს ხმათა საჭირო რაოდენობა, ხელახლა ეყრებათ კენჭი. არჩეულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატების ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ვაკანტური ადგილების დასაკავებლად. ამასთანავე, კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა 1/4-ზე ნაკლები.

მუხლი 68. მოსამართლის სამართლებრივი და სოციალური დაცვა

±

1. მოსამართლის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით.

2. სახელმწიფო ვალდებულია მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით შეუქმნას მას ცხოვრებისა და საქმიანობის ღირსეული პირობები, დაიცვას მოსამართლისა და მისი ოჯახის უსაფრთხოება, თუ მოსამართლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება, მისი განცხადების საფუძველზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ მოსამართლისა და მისი ოჯახის წევრების დაცვას.

3. მოსამართლეს, რომელსაც სამოსამართლო უფლებამოსილების განსახორციელებლად თვითმმართველ ქალაქში (მუნიციპალიტეტში) არა აქვს საცხოვრებელი ბინა, სახელმწიფო უზრუნველყოფს აუცილებელი საცხოვრებელი ფართობით ან უნაზღაურებს საამისოდ საჭირო ხარჯებს. გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის თაობაზე იღებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის თაობაზე – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

4. სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში ჩარიცხული მოსამართლე ქვეყანაში გამოცხადებული მობილიზაციის ან ომის დროს, აგრეთვე სამხედრო შეკრებაზე გაწვევას არ ექვემდებარება.

5. მოსამართლედ გამწესება არ იწვევს პირის საზოგადოებრივი გაერთიანების წევრობის შეწყვეტას. პირი, რომელიც გამწესდა მოსამართლედ, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.

Formatted: Georgian (Georgia)

Field Code Changed

Formatted: Georgian (Georgia)

Formatted: Georgian (Georgia)

6. მოსამართლე სარგებლობს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით 30 კალენდარული დღის ხანგრძლივობით.

7. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ათვის , მისი პირველი მოადგილისა და მოადგილის , უზენაესი სასამართლოს წევრის ,სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის , რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის ა და საერთოსასამართლოს მოსამართლისათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესს ადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესისაბჭო , სახელმწიფო ხელისუფლების შტოთა დადგენილი ანალოგიურ თანამდებობის პირთა რანჟირების მიხედვით

მუხლი 70. საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლისთვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის წესი

1. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას ან საპენსიო ასაკის მიღწევისას ენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია 1200 ლარის ოდენობით.

2. საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლეს (გარდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლისა), რომელიც მოსამართლის თანამდებობაზე დაინიშნა ამ კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით.

მუხლი 77. მოსამართლის კომპენსაციის გაანგარიშება

±

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს, რომელსაც უფლებამოსილება შეუწყდა პირადი განცხადების საფუძველზე 2005 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე და დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია ხელფასის სრული ოდენობით იმ ვადით, რა ვადითაც მას უნდა განეხორციელებინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილება, უნარჩუნდება ეს კომპენსაცია ხელფასის სრული ოდენობით, უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლის შრომის ანაზღაურების ყოველთვიური ცვლილების შესაბამისად, აღნიშნული უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ კომპენსაცია გაიანგარიშება ამ კანონის 70-ე მუხლის პირველ პუნქტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2. მოსამართლეს (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლისა) სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით, თუ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონის:

ა) 46-ე-49-ე მუხლებისა და 85-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დაინიშნა მოსამართლის თანამდებობაზე;

ბ) საფუძველზე გაიარა სავალდებულო საკვალიფიკაციო ატესტაცია და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა რაიონულ (საქალაქო), საოლქო, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში იმ ვადის ფარგლებში, რომლითაც იგი დანიშნული იყო რაიონის (ქალაქის), თბილისის საქალაქო, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში;

გ) 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“, „ო“ ან „უ“ ქვეპუნქტის, ასევე 86¹ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე 1999 წლის 15 მაისიდან შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება და აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟი;

დ) 85² მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე 1999 წლის 15 მაისიდან გაუგრძელდა უფლებამოსილება.

2. „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც წარმოდგენილი პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება

საქართველოს კანონი

საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

ეს კანონი განსაზღვრავს რაიონულ (საქალაქო), სააპელაციო და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სააპელაციო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესს.

მუხლი 2

კანონის მიზნებია:

ა) უზრუნველყოს საერთო სასამართლოების მიერ საერთაშორისო სამართლის პრინციპებითა და ნორმებით, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების ეფექტიანი დაცვის სამართლებრივი მექანიზმების განმტკიცება;

ბ) საერთო სასამართლოების საქმიანობის ორგანიზაციული სრულყოფით მართლმსაჯულების ეფექტიანი და შეუფერხებელი განხორციელებისათვის ხელის შეწყობა.

მუხლი 3

საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესი განისაზღვრება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით, ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

თავი II. საქმეთა განაწილება

მუხლი 4

1. რაიონულ (საქალაქო), სააპელაციო და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები ნაწილდება რიგითობის წესით.

2. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მაგისტრატ მოსამართლეებს შორის საქმეები ნაწილდება მაგისტრატი მოსამართლის ადგილსამყოფლის მიხედვით.

3. რიგითობის წესი გულისხმობს მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილებას საქმეთა შემოსვლის რიგისა და მოსამართლეთა რიგითობის მიხედვით.

მუხლი 5

1. მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილების მიზნით სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეთა რიგითობას განსაზღვრავს მოსამართლის გვარის პირველი, ხოლო იგივეობის შემთხვევაში მომდევნო ასოს მიხედვით. რიგითობით პირველი ნომერი ენიჭება იმ მოსამართლეს, რომლის გვარის პირველი, ხოლო იგივეობის შემთხვევაში მომდევნო ასო ანბანის მიხედვით პირველია.

2. ერთნაირი გვარის მქონე მოსამართლეთა რიგითობა განისაზღვრება მათი სახელების პირველი, ხოლო იგივეობის შემთხვევაში მომდევნო ასოს მიხედვით. ერთნაირი სახელების შემთხვევაში მოსამართლეთა რიგითობა განისაზღვრება კენჭისყრით.

მუხლი 6

მოსამართლეთა რაოდენობის შეცვლის შემთხვევაში სასამართლოს თავმჯდომარე ვალდებულია ხელახლა განსაზღვროს მოსამართლეთა რიგითობა ამ კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 7

1. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლეთა რიგითობას განსაზღვრავს სასამართლოს თავმჯდომარე.

2. სააპელაციო და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სააპელაციო სასამართლოებში საქმეთა განაწილების მიზნით შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე პალატებსა და კოლეგიებში განსაზღვრავს მოსამართლეთა რიგითობას.

3. რაიონული (საქალაქო), სააპელაციო და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სააპელაციო სასამართლოების პალატებსა და კოლეგიებში საქმეებს ანაწილებენ შესაბამისი პალატებისა და კოლეგიების თავმჯდომარეები სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული რიგითობის მიხედვით.

მუხლი 8

1. სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეები და სხვა მასალები მოსამართლეთა შორის ნაწილდება სასამართლოში საქმის შემოსვლის თანამიმდევრობის მიხედვით.

2. შემოსვლის რიგით ყოველი მომდევნო საქმე გადაეცემა რიგითობით მომდევნო მოსამართლეს.

მუხლი 9

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სააპელაციო სასამართლოში, სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში, სადაც ორზე მეტი მოსამართლეა, თითოეულთან საქმეთა დაგროვების გამო ან სხვა მიზეზით საქმის განხილვის შეუძლებლობის შემთხვევაში მოსამართლეთა დატვირთვის გათვალისწინებით საქმეებს გადაანაწილებს შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე ან სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით მისი მოადგილე ან/და შესაბამისი პალატის ან კოლეგიის თავმჯდომარე.

მუხლი 10. (ამოღებულია)

მუხლი 11. (ამოღებულია)

მუხლი 12

რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში ბრძანებას მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებულ საგამომიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა ჩატარების შესახებ გასცემს მაგისტრატი მოსამართლე, ხოლო იმ ადგილობრივ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც მაგისტრატი მოსამართლე არ მოქმედებს, – ამ სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი მოსამართლე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის მიერ წინასწარ დამტკიცებული რიგითობის მიხედვით.

თავი III. უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაცვისრების წესი

მუხლი 13

1. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოსამართლის არყოფნისას ან განსახილველ საქმეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდის შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად აღნიშნულ სასამართლოში მიავლინოს სააპელაციო სასამართლოს ან სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იმავდროულად სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს იმ სასამართლოში, სადაც იგი დანიშნულია კანონით დადგენილი წესით.

2. სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის არყოფნისას ან განსახილველ საქმეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდის შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

უფლებამოსილია მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად აღნიშნულ სასამართლოში მიავლინოს სხვა სააპელაციო სასამართლოს ან რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იმავდროულად სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს იმ სასამართლოში, სადაც იგი დანიშნულია კანონით დადგენილი წესით.

2¹. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრებ ის საკითხის გადაწყვეტისას, მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინება შეიძლება განხორციელდეს მისი თანხმობით, 1 წლამდე ვადით. აუცილებლობის შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მოსამართლის თანხმობის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება მისი სხვა სასამართლოში მივლინების თაობაზე, თუ აღნიშნულ საკითხს მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების ვადის გაგრძელება შესაძლებელია არა უმეტეს 1 წლით, რისთვისაც აუცილებელია მოსამართლის თანხმობა.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრება განხორციელდეს 2015 წლის 1 იანვრამდე.

თავი III¹. გარდამავალი დებულებანი

მუხლი 13¹

1. 2005 წლის 1 ოქტომბრამდე თბილისის საქალაქო სასამართლოში ბრძანებას მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებულ საგამომიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა ჩატარების შესახებ გასცემს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე სასამართლოს თავმჯდომარის მიერ წინასწარ დამტკიცებული რიგითობის მიხედვით.

2. ამ კანონის ის ნორმები, რომლებიც ეხება სააპელაციო და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სააპელაციო სასამართლოებს, 2005 წლის 1 ნოემბრამდე ვრცელდება შესაბამისად საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოზე.

თავი IV. დასკვნითი დებულება

მუხლი 14

ეს კანონი ამოქმედდეს საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების ძალაში შესვლისთანავე.

|

